



ფოტომატინე • ლეკსაბი • ვერილავი



სიმკვირით  
გაქაფული  
ქაღალდი  
გუნდა

# ჩოკვით განთენილი ქართული გუნია



წიგნი გამოიცა საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით  
თბილისი 2016

პროექტის ავტორი და შემდგენელი  
თენგიზ უთმელიძე

რედაქტორი  
მაყვალა გონაშვილი

ოპერატორი  
მაია კვანტალიანი

დამკაბადონებელი  
თამარ ტყაბლაძე



ედღვნება „ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის  
სახელობის ქართულ ნაციონალურ ბალეტს“





ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი და თენგიზ უთხეალიძე

## ქართული ცეკვა — მარადიული ღმერთი!

ქართული მინის წიაღიდან აღმოცენებულმა, საუკუნეთა მანძილზე შენარჩუნებულმა და დღემდე მოღწეულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ არნახული აღმავლობა განიცადა. ჩვენს დროში მოწმენი გავხდით ჭეშმარიტად ეპოქალური მოვლენისა: ქართულმა ცეკვამ, რომელმაც ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია, თავისი უნიკალურობით, მრავალფეროვნებითა და თავისთავადობით გააოცა მთელი მსოფლიო. ცივილიზებულმა სამყარომ აღიარა ჩვენი ერის საგანძური — „ფანტასტიკური, რომანტიკული, თვალისმომჭრელი, დაუვინყარი, დიადი ქართული საცეკვაო ხელოვნება, აღსავსე შინაგანი მადლით, შთაგონებით, მარად უჭკნობი მშვენიერებით“, მუხლი მოიყარა ცერზე შემდგარი მგზნებარე სულის წინაშე და ალაღად დაულოცა ის ლაჟვარდოვანი გზა, დღეს მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმტაც მატრიანედ რომ იქცა.

ქართული ცეკვის სიდიადემ მილიონობით მაცურებლის წინაშე დატოვა არა მხოლოდ მოცეკვავეთა ვაჟკაცური შემართება და დაუოკებელი ცეცხლი, ქალთა სინარნარე და კდემამოსილება, არამედ თვით ქართული ცეკვის სული, მისი მთელი არსი, რომელშიც ასე მკაფიოდაა გამოსახული ხალხის გმირული ბუნება, სილამაზის შეგრძნება, მგზნებარე ტემპერამენტი, მიდრეკილება პოეზიისადმი, თანდაყოლილი არტისტიზმი და შინაგანი კეთილშობილება.

როცა ვუცქერით ცერებზე შემდგარ ტანად ჭაბუკებს, სინაზითა და კდემამოსილებით აღსავსე ასულებს, გულწრფელი პატივისცემის გრძნობა გვიპყრობს მათდამი. როცა ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, ვოცნებობთ ქართულ ცეკვაზე, მუდამ გვახსენდება ლეგენდარული ანსამბლი — თავისი ხელოვნებისათვის თავდადებული, ნიჭიერი, ერის წინაშე ღრმად პასუხისმგებელი და მონოლითური, რომელმაც ესოდენ დიდი რამ გააკეთა არა მხოლოდ თვით საუკუნეთა მიღმიდან მომდინარე ქართული ცეკვისათვის, არამედ მთელი ქართული კულტურისათვის.

რა გააკეთეს ჩვენთვის?

რა შექმნეს ჩვენი, მშობლიური და სხვისთვისაც მიმზიდველი?

რა შემატეს მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას?

რა წაიღეს ჩვენგან შორს, ჩვენთვის უცხო ადამიანთათვის დედამიწის ყველა კუთხეში?

ვფიქრობთ ამაზე და რაკი პასუხი მრავლისმთქმელია, უპირველეს ყოვლისა ვიხსენებთ ამ სახელგანთქმული კოლექტივის მოჭირნახულეთ, მათ, ვინც შექმნა ანსამბლის მხატვრული სახე, ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესანიშნავი ნიმუშების შერჩევითა და დამუშავებით, ახალი გამოსახველი ხერხებით, თავდაუზოგავი შრომით, ერთი გრძნობით, აზრითა და ცეცხლით ალაგზნო ამ უკვდავი შემოქმედების ყველა მონაწილე.

ესენი, უპირველესად, ჩვენი ერის სასიქადულო მამულიშვილები, ქართული კულტურის დიდი მოამბეები და უბადლო პროპაგანდისტები, ქორეოგრაფიული ხელოვნების სწორუპოვარი დიდოსტატები ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი არიან.

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება, ტრიუმფალური წარმატებები და მსოფლიო პოპულარობა უპირველესად და სამართლიანადაა დაკავშირებული ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელებთან, რომლებმაც მრავალ სიძნელეთა გადალახვით და უდიდესი ძალისხმევის შედეგად საფუძველი ჩაუყარეს ქართული ცეკვის პირველ პროფესიულ ანსამბლს, შექმნეს ჭეშმარიტად ეროვნული, ჟანრული ნაირსახეობითა და კოლორიტულობით გამორჩეული, თეატრალიზებული ქორეოგრაფიული სპექტაკლები, დამშვენებული ანსამბლის ერთგული მეგობრისა და თანამოაზრის, გამოჩენილი მხატვრის სოლიკო ვირსალაძის მიერ განუმეორებელი ფერადოვნებისა და უაღრესად დახვეწილი გემოვნებით შექმნილი კოსტიუმებით, უმაღლეს, აკადემიურ დონეზე აიყვანეს ქართული ცეკვა და ტრიუმფით ატარეს მსოფლიოს გზებზე.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორედ სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლმა დაუდო სათავე ეროვნული კულტურის ფართო პოპულარობას მთელს მსოფლიოში, საყოველთაო დიდება მოუტანა ქართველ ხალხს და სრულიად საქართველოს. ქართული კულტურის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაინერა ამ ლეგენდარული ანსამბლის სახელი, სახელი მისი უბადლო შემოქმედებისა.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის, ანუ, როგორც მას დღეს ეწოდება: „ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი“-ს არსებობის მანძილზე, მის შთამბეჭდავ გამარჯვებებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მოცეკვავეთა თაობებს, ქართული ცეკვის იმ ვარსკვლავებს, რომლებიც თავის ცხოველმყოფელი და უზადო ხელოვნებით ბრწყინავდნენ მსოფლიოს უპირველესი თეატრების სცენებზე, არნახული მასშტაბით გამოამზეურეს ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, მთელს მსოფლიოს გადაუშალეს ქართული ცეკვის გრანდიოზული სამყარო და ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქართულ კულტურას. ამ ანსამბლის მიერ წარმოჩენილი ქართული ხალხური ქორეოგრაფია მთელი მსოფლიოსათვის გახდა „ნამდვილი აღმოჩენა, ნამდვილი სასწაულებრივი ხილვა ჯერ უხილავისა და მანამდე არგაგონილისა“.

ახლაც თვალწინ მიდგას მაყურებლებით გადაჭედული ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა“ და უზარმაზარი „მედისონ სქუერ გარდენი“, ფეხზე ამდგარი ლონდონის შვიდიათასიანი „როიალ ალბერტ პოლი“ და ინგლისის სამეფო თეატრი „კოვენტ გარდენი“, ისტორიული ტრიუმფი მილანის „ლა-სკალაში“, ოვაციებში ჩაძირული ნეაპოლის „სან-კარლოსა“ და ვენეციის „ლა-ფენიჩეს“ უძველესი და ულამაზესი თეატრები, ვენის, კოპენჰაგენის, ბრიუსელის, ამსტერდამის, გლაზგოსა და სიდნეის ბრწყინვალე სამეფო თეატრების აღფრთოვანებული მაყურებელი, ევროპის, ამერიკის, აზიისა და ავსტრალიის ასეულობით ქალაქის მოგუგუნე საკონცერტო დარბაზები და ხალხმრავალი სტადიონები...

თითოეულ ქართველ მოცეკვავეს განუზომელ სიხარულს და სიამაყეს გვანიჭებდა ეს დაუჯერებელი და ენით აღუწერელი აღტაცება და გულახდილად უნდა ვთქვა, რომ არც ერთ ჩვენთაგანს არ ჩაუთვლია ეს მხოლოდ თავის განსაკუთრებულ დამსახურებად, რადგან ვგრძნობდით, რომ ამით პატივს მიაგებდნენ ჩვენს ქვეყანას, მის კულტურას, ქართველ ხალხს, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე შექმნა დიდებული, თვითმყოფადი საცეკვაო ხელოვნება და რომელსაც დღეს ბადალი არ მოეძებნება დედამიწის ზურგზე.

სახელგანთქმულმა ქართველმა მოცეკვავეებმა არაერთგზის დალაშქრეს ჩვენი პლანეტა, მილიონობით მაყურებლის წინაშე დაანთეს ცეცხლი ქართული ცეკვისა და სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის ადამიანებს, რომლებიც არც კი გვიცნობდნენ, უთხრეს:

„ოკეანეებისა და მთების გადაღმა, ულამაზესი კავკასიონის ძირას არის პატარა, ლამაზი ქვეყანა — დათოვლილი მწვერვალებით, უღრანი ტყეებით, კამკამა ნაკადულებით, მდინარეებითა და ტბებით, ბიბინა ველ-მინდვრებით, ზვრებით, ციხე-კოშკებით და ეკლესია-მონასტრებით. ამ ქვეყანაში იბრძოდნენ, შრომობდნენ, დღემდე მოიტანეს თავისი დიდი კულტურა, იცოდნენ სიტყვის, სიმღერის, ტკბობის ფასი, მღეროდნენ და ცეკვავდნენ გულის გასახარად. ეს ხალხი დღესაც ცხოვრობს, ამაყი და ვაჟკაცური სულით გაუძლო მრავალ ქართველს, დღესაც მღერის და ცეკვავს მოყვრისათვის, მღერის და ცეკვავს მტრისათვის თვალის დასაყენებლად, ასე ლამაზად, ასე შემართებით...“.

თავისი არსებობის მანძილზე ქართული კულტურის ამ დიდმა დესპანებმა საზღვარგარეთული პრესის ყველაზე გულრგილი გაზეთების ფურცლებიც კი აახმაურეს. უცხოელი ჟურნალისტები და კრიტიკოსები, რომელთა რეცენზიები გამოირჩეოდნენ პროფესიონალიზმითა და ქორეოგრაფიული ხელოვნების ჩინებული ცოდნით, თითქოს და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ქართული ანსამბლის სენსაციური გამოსვლების შეფასებაში.

აი, რამოდენიმე „წვეთი“ ხოტბა-დიდების იმ ზღვა მასალიდან, რომლითაც შემკულია ჩვენი ეროვნული ფენომენი:

„ქართული ცეკვის ფოიერვერკი“, „ფანტასტიკური კონცერტი, ელეგანტური ქორეოგრაფია“, „რიტმის, პლასტიკისა და მოძრაობის სრულყოფილება“, „დიდი ქართული ბალეტი“, „მსოფლიოს უდიდესი მოცეკვავეები“, „ფოლკლორის ძვირფასი ქვა კლასიკური ნახნაგებით“, „ქართული ბალეტი — უნიკალური ფენომენი“, „ხალხური ცეკვის პოეზია — მუსიკისა და მეტყველ მოძრაობათა ჰარმონიული ერთიანობა“, „აღმაფრთოვანებელი, თავბრუსმომხვევი, განსაცვიფრებელი“, „ორსაათიანი უზენაესი ნეტარება“, „ხალხურობისა და აკადემიურობის დიდება“, „ღმერთების ცეკვა...“

უზომოდ ვამაყობ, რომ ვეზიარე ქართული ცეკვის მადლს — ჭეშმარიტად უფლის საჩუქარს! ქართულ ცეკვას — გაცოცხლებულ ქართულ წარსულს! ქართულ ცეკვას — მარადიულ დღესასწაულს!

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩვენთან, საქართველოში, ბევრისათვის მაინც წარმოუდგენელი იყო, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართულ საცეკვაო ხელოვნებას საზღვარგარეთ.

ხანგრძლივი გასტროლებიდან დაბრუნებულებს, ნაცნობ-მეგობრები, რომლებსაც ერთგვარად გაზვიადებულად მიაჩნდათ ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლების შეფასება, არც თუ იშვიათად, ეჭვნარევ კითხვასაც გვისვამდნენ: „ნუთუ ასეთი ზღაპრული წარმატებებით გამოდის ანსამბლი საზღვარგარეთ, როგორც ამას ჩვენი გაზეთები წერენ?“

ჩვენ არასოდეს გვიცდია გადმოგვეცა ის რეალური სურათი, რომელიც თან ახლდა ჩვენს გამოსვლებს უცხოეთში, რადგან ეს თითქმის შეუძლებელი იყო. ისე, ბევრჯერ კი მინატრია: ნეტავი ჩემს ხალხს ეს აზვირთებული აღფრთოვანება ანახა მეთქი...

სიმართლე უნდა ითქვას, ამგვარი ნატვრა ზოგჯერ ამსრულებია კიდეც:

ირაკლი აბაშიძე — პოეტი-აკადემიკოსი:

„ეს იყო უდიდესი ბედნიერება, სიამაყისა და სიხარულის განცდა, რომელიც მე მხვდა წილად სამშობლოსაგან ასე დაშორებით. დიახ, ბედნიერება გახლდათ ის დიდი გამარჯვება, რომელიც მოიპოვეს ქართველმა მოცეკვავეებმა თავიანთი ბრწყინვალე გამოსვლით.“

ზედმინვენით ყველა ნომერი ინვევდა ოვაციის გრიგალს და ამერიკელთა წარმოუდგენელ, მხურვალე ენთუზიაზმს, რომლის სიტყვიერად გადმოცემა შეუძლებელია.

ქ. ვაშინგტონი, 1960

მიხეილ კაკაბაძე — ბაზეთ „ლელო“-ს რედაქტორი:

„ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე ერთგვარად გაზვიადებული მეგონა ჩემი თანამემამულეების გამოსვლების შეფასება. მაგრამ ახლა, როცა წილად მხვდა ბედნიერება სანდერლენდსა და ლონდონში დავსწრებოდი ჩვენი მოცეკვავეების კონცერტებს, პირდაპირ უნდა გითხრათ: ყოვლად წარმოუდგენელია იმ ტრიუმფის წერილობით თუ სიტყვიერად გადმოცემა, რაც მათ ყოველ კონცერტს ახლავს.“

ეს კაცმა თავად უნდა ნახოს, ნახოს და განიცადოს!“

ქ. ლონდონი, 1966 წ.

ზურაბ სოტაძე — მომღერალი, თეატრ-„ლა-სკალა“-ს სტაჟიორი:

მე „სუხიშვილების“ კონცერტებს ხშირად დავსწრებოდი თბილისში, მოსკოვშიც, მაგრამ აქ, მილანში, სულ სხვა სიხარულია, არ ვიცი, როგორ გამოვხატო. მთელი კონცერტი ვტიროდი. ჩემი აქაური მეგობრები მანყნარებდნენ. შემდეგ მითხრეს, რომ ერთი-ორჯერ ლამის გადმოვარდნილვარ იარუსიდან. მილანელები მეც მილოცავდნენ გამარჯვებას. დღეიდან უფრო ამაყად ვივლი ამ ქალაქში“.

ქ. მილანი, 1967 წ.

კახი კავსაძე — მსახიობი:

„ერთხელ, უნგრეთში გადაღებაზე ვიმყოფებოდი. სუხიშვილების კონცერტს დავესწარი. ყველა ცეკვაში სრულიად საქართველოს ყველა კუთხეს და მთლიანობაში საქართველოს დიდ წარსულს ვკითხულობდი. მე ვყვიროდი და მთელი დარბაზი მე შემომცქეროდა.

ეს არის გრძნობა, რომლის აღწერა შეუძლებელია, იგი მხოლოდ უნდა განიცადო“.

ქ.ბუდაპეშტი, 1977 წ.

დედამინის ხუთი კონტინენტი, 90 ქვეყანა, 1500 ქალაქი, 400 ტურნე, 15 ათასი კონცერტი, 50 მილიონზე მეტი მაყურებელი!.. აი, მოკლე სტატისტიკა ციფრებში ერის საამაყო, ლეგენდარული ანსამბლის ხანგრძლივი და მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრებისა, რომელსაც 2015 წლის 11 ივნისს დაარსებიდან 70



წელი შეუსრულდა.

ამ ღირშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილმა საიუბილეო საღამომ და კონცერტმა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც ჩვეული ტრიუმფით აღინიშნა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „სუხიშვილები“ თავის გენიალურობას არ კარგავენ, დღესაც უდიდესი შემართებით ემსახურებიან თვითმყოფადობის ერთ უმშვენიერეს გა-

მოხატულებას — ქართულ საცეკვაო ხელოვნებას, წინაპართა ტრადიციების დაცვითა და ახალი ხედვით ფოლკლორში, წარმატებით აგრძელებენ შემოქმედებით ცხოვრებას.

„ქართული ნაციონალური ბალეტის“ დიდი აღიარება და სიცოცხლისუნარიანობა სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქალბატონი ნინოსა და ბატონი ილიკოს მემკვიდრეებისა და მათი მამულიშვილური საქმის გამგრძელებელთა სახელებთან. ჯერ თენგიზ სუხიშვილთან, რომელიც მთელი ოცი წლის მანძილზე უნარიანად და ნაყოფიერად უძღვებოდა სახელოვანი მშობლების მიერ დაწყებულ საქმეს, დღეს კი — ნინო და ილიკო სუხიშვილებთან, რომლებმაც შეისისხლხორცეს მოცეკვავეთა წინათაობების გამოცდილება, კიდევ უფრო გაამდიდრეს ანსამბლის რეპერტუარი, მთლიანი პროგრამა გაბედული, საინტერესო ქორეოგრაფიული ნოვაციებით და ახალგაზრდული შემართებით, პროფესიონალიზმით და დიდი სიყვარულით, ვირტუოზო მოცეკვავეთა დღევანდელ თაობასთან ერთად ქართული კულტურის ისტორიაში წერენ ქორეოგრაფიის ახალ ფურცლებს და კვლავ ტრიუმფით აცნობენ მთელს მსოფლიოს ჩვენი სულიერების უძვირფასეს განძს — როკვით განფენილ გენიას ერისას.

თენგიზ უთმელიძე

## ერის უკვდავების გასაღები

ინდოელი მოაზროვნე ვივეკანანდა წერდა: „ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, აქვს ერთი თემა, ერთი ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა ბგერა იკრიბება. თუ ერთი მას უარყოფს, თუ იგი უკუაგდება საუკუნეების მიერ გადმოცემულ გეზს, ეს ერთი კვდება“.

მაინც რა არის ჩემი ერის ცენტრალური ბგერა? წინაპართა მიერ გადმოცემული გეზი? სად არის ჩემი ერის უკვდავების გასაღები?

ქართული პოეზია, ხალხური სიმღერა და ცეკვა, აი ის სამება, რითაც ამაცობდა და ამაცობს ქართველი კაცი, რითაც მსოფლიოს ნებისმიერი დიდი კულტურის ერს ამაცად უსწორებს თვალს.

წიგნი „როკვით განფენილი ქართული გენია“ ქებათა ქებაა ქართული ბალეტისა, რომელმაც წინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით მსოფლიოს არაერთი ქვეყანა გააოცა და აღაფრთოვანა, და დღესაც ამ ლეგენდარული ქორეოგრაფების შთამომავლები წინო და ილიკო სუხიშვილები ღირსეულად აგრძელებენ დიდ წინაპართა სასახელო საქმეს.

წიგნის ავტორი და სუხიშვილების ანსამბლის მემატყიანე, კულტურის რაინდი თენგიზ უთმელიძეა, კაცი, რომლის შემოქმედება და მოღვაწეობა ფასდაუდებელი განძია ქართულ ქორეოგრაფიაში. თავადაც ლეგენდარული მოცეკვავე თავყანს სცემს სხვათა ნაღვანს, ფოტოებით, ლექსებით, წერილებით უკვდავყოფს ყველა იმ ხელოვანის შემოქმედებას, რომელთათვისაც ქებასა და ტაშს არ იშურებდა მაყურებელი მსოფლიოს ყველა კუთხეში, ანუ როგორც „ნიუ-იორკ პოსტი“ წერდა: „ისინი პირველები არიან, საუკეთესონი და დიდებულნი“.

წიგნი „როკვით განფენილი ქართული გენია“ უძვირფასესი შენაძენია ხელოვნების მოყვარულთათვის.

## ქართული გენია

*„ვაშა, როკვის ჯადოქარნო!“*

*გრიგოლ რობაქიძე*

ზეცით მონაბერი  
მადლია ღვთიური,  
რაც მიმღერია და  
რაც დამიწერია,  
ივერთა მინიდან  
მსოფლიოს მოედო  
როკვით განფენილი  
ქართული გენია.  
გულში მზე,  
სისხლში მზე,  
ვართ მზის ნათლულები,  
ჩვენი ოცნებებიც

მზით დანაფერია,  
სულ თითის წვერებზე  
დაივლის სამყაროს,  
როკვით განფენილი  
ქართული გენია.  
ტანჯვაში უტეხი,  
ბრძოლებში უშიში,  
პურადი, გულადი,  
ეს ჩემი ერია.  
ნუ გეცოტავებით,  
მსოფლიოს აოცებს  
როკვით განფენილი  
ქართული გენია.

## ბრიზოლ რობაქიძე

„ქართული ბალეტი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც მსოფლიოში ეგზომ დიდი სახელი მოიხვეჭა, ჟენევასაც ესტუმრა. ოთხ წარმოდგენას დავესწარი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დიდი. განა მარტო ჩემზე? მინდა ეს შთაბეჭდილება თანამემამულეთ გავუზიარო:

მროკავთა დასში არცერთი ვაჟი არაა ნიჟინსკი, არც ერთი ქალი პავლოვა, ხოლო ვერა რომელი ნიჟინსკი იცეკვებს მაგალითად „ქართულს“ ისე, როგორც ამას ცეკვავს რომელიმე ვაჟი ამ დასისა. ვერცა რომელი პავლოვა გაჰყვება მოცეკვავე ვაჟს, მაგალითად იმავე „ქართულში“ ისე, როგორც ამას ცეკვავს რომელიმე ქალი უწყებულები დასითგან. ეს იმიტომ, რომ ქართული ბალეტი არის ბალტი ჯიშის, ბალეტი რასის“.

„ახლა უნდა დავაზუსტო ჯიში ქართულის. ერთი მცირე მაგალითი: დაქადნად ნუ ჩამომართმევთ ვთქვათ: ჩემ წინ გამოუშვეს საროკავად „ქართულისა“ ორი ჩემთვის უცნობი მროკავი, მითხრეს მხოლოდ: ერთი იმათში ქართველია. მათ პირველ გავლებაშივე გამოვიცნობ, რომელია ქართველი“.

„ქართული ბალეტი, მთლიანად აღებულები, სწორუპოვარი დითირამბია ყოფის მიმართ. დიად, როკვით განფენილი გაახარე-გაიხარე!

ასეთი ხალისი, ასეთი სიხარული, ასეთი აღტაცება, ასეთი ლხენა-საუკუნოებში ტანჯული საქართველოს წიაღთაგან, არაა ეს, საკვირველი, მართლაც რომ საკვირველია.

ვაშა, როკვის ჯადოქარნო: ქალებო და ვაჟებო! ვაშა! ვაშა!



## ქართული ცეკვა

*ნინო რამიშვილს და ილიკო სუხიშვილს*

თქვენი ცეკვა მასლაათობს,  
ყველას ხიბლავს, ყველას ესმის...  
რიტმაცა გაქვთ, რიტმიცა გაქვთ,  
სილამაზე ქართულ ლექსის.

საქართველოს ხელოვნება,  
გაიტანეთ საზღვარგარეთ,  
მაგრამ განა უღიმღამოდ?  
ულაზათოდ? უშნოდ? მდარედ?

არა, თქვენი მძლავრი ჯგუფი,  
აკინძულა თაიგულად,  
შეიყვარა უცხო ხალხმაც  
და თავისად დაიგულა.

უცხოელმა როცა ნახა,  
ცეკვა-ფეხით განაცური,  
ხმლით გულდაგულ მტერზე მისვლა,  
შემართება ვაჟკაცური.



ვინ არ ცეკვავს ახლა ჩვენში,  
მაგრამ თქვენ ხართ სულ სხვა ხილი,  
ჯარს შემოჭკრებს საბრძოლველად,  
თქვენი ერთი შექახილი.

და ქართველი მტერს რომ სჩებდა,  
განა კრთოდა, ან სჩიოდა,  
საქართველოს დასახსნელად,  
ომში ცეკვით მიდიოდა.

თქვენი ცეკვაც რომანია,  
მასაცა აქვს თავის ენა,  
ის მტრედია მშვიდობისა,  
და შევარდნის აღმაფრენა.

ვინც კი განახავთ ცეკვების დროს,  
გინდ ცალკ-ცალკე, გინდ გუნდებად,  
გეფიცებით, კუტიც იყოს,  
მაინც ცეკვა მოუნდება.

საქართველოს შვილები ხართ,  
ზეცამ მაღლი დაგაქარგათ,  
ზღვა ხართ? ცეცხლი? ქარიშხალი?  
აღარ ვიცი, რა დაგარქვათ!

ეს კი ვიცი, ჩვენში ნიჭი,  
ფულით როდი იყიდება...  
გაგიმარჯოთ, ჩვენებურნო,  
თქვენ სიცოცხლე, თქვენ დიდება!



## ქართული სული ვაჟკაცურ ცეკვებში ამღერებული

ქართული სული ვაჟკაცურ  
ცეკვებში ამღერებული,  
ხან დინჯი, როგორც ლილეო,  
ხან ფიცხი, გახელებული;

მოსხლეტილ ზვავთა ზრიალი,  
ცაში ნავარდი არწივად,  
ფართა და ხმალთა ჯახანი,  
შეტევა, თავის განირვა;

მკლავებში გამომწყვდეული  
ოცნება, უსაზღვროება,  
ქალ-ვაჟთა ტრფობის უკვდავი  
და უნაზესი პოემა...

რაც კი უხსოვარ დროიდან  
ჩვენს გულში ცეცხლად ანთია,  
ქართველ ხალხს ქართულ ცეკვებში  
ჩაუქსოვ-ჩაუხატია.



## ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ...

ვენის ტყეში  
ქართველები ცეკვავენ,  
ვენის ტყეში, ვენის ცისფერ ტყეში  
მაღალ მთებში  
მზე ჩახჩახებს მგზნებარედ,  
ხან მჩქეფარდ  
მოთქრიალებს თქეში.

ხან ზღვა ღელავს,  
ხან მოღელავს არაგვი,  
ხან ვეფხვების  
თარეშია მთაში.  
ტაშს უკრავენ  
ზანგნი, ფრანგნი, არაბნი...  
შექახილი,  
სიმღერა და ტაში.

ხან პირიმზე  
მოანათებს საროს ტანს,  
ხან ჭაბუკთა  
ჭიდილია ფიცხი.  
— ბრავო! — ყვირის  
გრეტჰენი თუ შარლოტა,  
— ბრავო! — ყვირის  
იანი და ფრიცი.

მოგოგმანობს  
გოგნი გოგნი გოგონა,  
მოაქვს მთელი  
საქართვეოს ეშხი...  
და გოგონას  
თვალთა ჭიაკოკონა,  
ლამის ცეცხლად  
აბრიალდეს ტყეში.

მკლავი მკლავზე,  
ტოტი ტოტზე მოება,  
სიხარულით  
მუხა მუხას ეკვრის  
და ქალ-ვაჟთა  
სიყვარულის პოემა,  
ინერება  
სიმღერით და ცეკვით.

მოჰყოლიათ მზეჭაბუკებს, მზექალებს  
ღელვის ღონე  
და სილაღე ქართა.  
ვენის ტყეში  
ქართველები ცეკვავენ...  
ეს ვენის ტყის  
ზღაპარია მართლაც.

დასდგომიათ  
თავზე ჩრდილი შტრაუსის,  
უკვირს მათი  
ცეცხლოვანი ცეკვა.  
მზის სიცილში,  
ღვართქაფების ხმაურში  
საქართველოს  
მთების გული რეკავს.

ფოთოლ ფოთოლ  
მზის აღმური იღვრება  
და ირხევა  
სხივთა დასთადასი.  
სადღაც ისმის  
ტიროლიის სიმღერა,  
ჩვენებური  
კრიმანჭულის მსგავსი.

— რა ტანი აქვთ, -  
ისმის გაუბედავად,  
— რა თვალები,  
ელვასავით მჭრელი.  
ფეხის ნვერზე  
რად დგებიან ნეტავი,  
ხომ არ უნდათ  
მზეს შეავლონ ხელი?

დოლი ცხარობს,  
ცეცხლის მიმომფანტველი,  
სალამური  
ჰყვება ქართულ ზღაპრებს  
და ჭაღარა  
კავკასიის ნათელი,  
ეფინება  
ქარაფოვან აღპებს.

ვენის ტყეში  
ქართველები ცეკვავენ,  
ვენის ტყეში,  
ვენის ცისფერ ტყეში.  
მაღალ მთებში  
მზე ჩახჩახებს მგზნებარედ,  
ხან მჩქეფარედ  
მოთქრიალებს თქეში.

ვენის ტყეში  
ქართველები ცეკვავენ,  
ვენის ტყეში,  
ვენის ცისფერ ტყეში.



## სმე საკონცერტო დარბაზიდან

*ნინო რამიშვილს*

ჩვენ საქართველოს მივულოცავთ ღირსეულ შვილებს,  
მათს დაბადებას, მათს შუადღეს, წელთა სიმრავლეს,  
ჩვენ საქართველოს მივულოცავთ ვარსკვლავთა ცვენას  
და კონტინენტთა სივრცეებში მათს სიკაშკაშეს.

ქართულმა ცეკვამ ტახტრევანი დაიდგა ყველგან,  
და რა ხანია სურნელს აფრქვევს მომჯადოებელს,  
ცეკვის დედოფალს გაუმართავს დიდი მეჯლისი,  
ცეკვის დედოფალს ფეხთ უფენენ ვარდებს და იებს.

ეს ტახტრევანი მან ააგო, მან აძლიერა,  
ნორჩი ყლორტები ამოზარდა ცვართ სანყაულით,  
მუხლჩაუხრელმა შრომამ, ნიჭმა, ზემთაგონებამ  
ეროვნულ ფესვებს გზა უკვალა, გზა სასნაულის.

ჩვენ, — დარბაზებში მსხდომი ხალხი — აქაც და იქაც,  
აქ — მშობლურით, იქ უცხოთი მონუსხულები.  
ქედს ვუხრით ზეცას და დედოფლის იმ აღმაფრენას,  
ასულთ და ჭაბუკთ რომ ალავსებს კდემით და გზნებით.

დე, საქართველომ კვლავ ამრავლოს შვილნი ასეთნი,  
ასეთი ნინო, ნინოები, ილიკოები,  
წლები გარბიან... დე, ირბინონ, კვალი ხომ რჩება  
მათი ნიჭით და მათი ხიბლით ნასაზრდოები.



### ილიკო სუსიშვილს

სულკურთხეულო რაინდო,  
თქვენზე ამგვარად მსმენია,  
სამშობლოს საზღვრებს გასცილდი  
როკვის უბადლო გენია.

აღმოსავლეთს თუ დასავლეთს  
თქვენი დიდება ელავდა,  
ცეკვით დაიპყარ პარიზი  
ძილი გაუკრთე ელადას.

გშვენოდათ მამა-პაპური  
სიამაყე და ქველობა,  
თეთრ ჩოხასავით მოირგე  
ნაკურთხი დიდქართველობა.

როგორც ლექსს გალაკტიონმა,  
როგორც ხევსურმა კაფიას,  
ახალი სული შთაბერე  
ხალხურ ქორეოგრაფიას.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს,  
შენს ხატს ღვთის მადლი ჰფენია,  
გვახსოვხარ, გვეამაყები,  
როკვის უბადლო გენია.





ჯეზუიტის ბილაძე



ლათავრა ფორიანი



ნინო რამიშვილი



თამაზ კიკალიშვილი

## ქართული გუნია ტოკვით განთქმული

„ქალთა კადტი დასში. თითოეული: კნატი, ჯაგატი, სინაზით ცვიტუელი, მწყაზატი, მტტსხვი, კდე-მილი, ნელი, წყნატი, ნატნატი, ქალწულუტი სტულიად მიმხვტაში.ტოკვა-გოგმანი, გოგმანი — სტიალი, სტიალი — ცოტვა, ცოტვა — ცუტვალი, გოდის ცუტვილი, ყვლანი ეტად: გოდები, თოტი გოდები, სან თტნცლოუტ გამწკტიფულნი ჰაეტთფნებით, სან მატად გომილი, ტომელიც ატყს ცისატცყლად ეთინე-ბა. (ტა გოგმნებია, დაილოცას თქენი დედელი!).“

„ასლა ჯაქები: თითოეული ყოთის შიგულთაგან გამოსხმული, კვტივი, ნაკვთიტი, ყოფულ ნაკვთში — მზის ქავლი ხალასი, ასხეპილი ვით ასვილი, დახეწილი, დაწმენდილი, ხალასი, ალყილი, შმაგი, ხანდახან შლეგი, ბალააყტილი, აცეცლელებული, ტადგან თვითთნ სიცოცხლე: „ცეცხლი“, „ცოცხალი“, ხლეცმა, ავატტნა, გავატტნა, მთვატტნა, შევატტნა, ხედვაში თვალციალი შევატტნისა, მთშვილდული ყოფული ხლეცი (ტა შიქები! დაილოცას ჩენი მამული!)“

გტიგლო ტმბაქიბე



## ქართული ცეკვა

თითქოს დარბაზს სუნთქვა ეკვრის,  
თეთრი გედი ფრთებს რომ გაშლის,  
ეს ნამდვილად ქალი ცეკვავს  
თუ ლერწამი კრთება ქარში?  
მიმინო დგას ცერზე ნეტავ  
თუ არწივი მისდევს ქედანს,  
ეს ვაჟკაცის გული ფეთქავს  
თუ სიონის ზარი რეკავს?  
შორით ნვა და შორით ფიქრი,  
შორით მზე და შორით მთვარე,  
ვაჟი შორით უვლის ირგვლივ  
მზედ ამოსულ ქალის თვალებს.  
შორით, შორით, შორით უვლის,  
ისე კდემით, ისე ნაზად —  
მიჯნურისთვის ვაჟკაცს გული  
დაუგია ფიანდაზად.  
სიყვარულით ლაღობს სული,  
ბობოქრობს და თითქოს ქარს ჰგავს,  
ნანდაურს და გულის სურვილს  
ცერით წერს და მუხლით ქარგავს.  
ჩვენ ბრძოლებში ფეხზე ვდგებით,  
არ გვჩვევია ქედის დრეკა,  
ქართველები მუხლზე ვდგებით  
მხოლოდ მაშინ, როცა ვცეკვავთ.  
სამშობლოს და ღმერთის გარდა  
ვიჩოქებდით მხოლოდ ქალთან.  
ქალის გული ციხეს ჰგავდა  
და ვკვდებოდით ციხის კართან.  
გზები ცეკვით დასერილი,  
სხვას ამ ქვეყნად ვის ჰქონია,  
ან ცრემლებით დანერილი  
სიყვარულის სიმფონია.  
მარტო კალმით ვწერდით განა  
საქართველოს მათიანეს,  
„ქართული“ და „განდაგანა“  
დროშასავით ვაფრიალეთ.  
ალვანთან თუ ანანურთან  
მტერი როცა ვატიალეთ,

„ხანჯლური“ და „ალვანური“  
ხანჯალივით ვატრიალეთ.  
რომ აოცებს დღესაც ყველას  
და ქვეყანა გადარია —  
„სამაია“ არის ფრესკა  
და „ფერხული“ ტაძარია.  
მამულს დღესაც კვალად უდგას  
„ხორუმი“ და „ოდოია“,  
ის „დავლური“, როკვა, ბუქნა  
ციხე კოშკთა გოდოლია.  
შორით ნვა და შორით დაგვა  
მარტო ცეკვა ვის ჰგონია?!  
ქვეყნის გზებზე ცერით დაგვაქვს  
საქართველოს ისტორია.

## განდაგანა

ილადრება ყელი სტვირის —  
აბა ტაში,  
აბა ტაში,  
წრეს გაარღვევს ჯეირანი,  
ტანს შეარხევს, ხელებს გაშლის,  
დავედევენე —  
დავენევი?  
სიხარული ნახეთ მაშინ.  
დოლი ისეთ დღეში არის  
ააცეკვებს ალბათ კლდესაც,  
დავიღალე, როგორც წინათ,  
შემარცხვინე, ქალო, დღესაც.  
მაგრამ გნამდეს, ამ გულს, კარგო,  
ვერ ნაუხვალ განდაგანა,  
ცეკვასი თუ დამიჯაბნე,  
სიყვარულში დამღლი, განა?





იამზე დოლაბერიძე და ფრიდონ სულაბერიძე



თენგიზ ჟომელიძე



ნინო კირვალიძე



ანზორ ნიკოლაიშვილი

### კნიაჟნა ღარია ზამთარისაღმადმი

(ლეკურის თამაშობაზედ)

დიდი ხანია თვალსა ჩემსა, სოფლით დაღალულს,  
ტრფობისა ლელვით გაცივებულს ამა ჩემსა გულს.  
არ მიუღია მეჯლისთაგან სიამოვნება;  
მაგრამ ლეკურმა, ჩვენებურმა, ჩემი გონება  
განცვიფრებითა პოეტთა ცასა ზე აღიტაცა!  
მუზთა შთამბერეს, თვარა სხვა გვარ ვიტყოდი რასმცა?  
ეს ვინ მოჰფრინავს? ფერია თუ ცითა ნავარდობს!  
მეჯლისი ნახა და იამა, ჰხარობს და მარდობს!  
ერთი შეხედვით, ვით ყარყატი ყელმოღერებით,  
მოსცურავს ეგრე მშვენიერად და ნარნარებით.  
უყურეთ ფეხთა, თვალ ვერ სწრებით, როგორა ხმარობს,  
ჰაერთა ზვირთთა თვისის ფრთებით, ვითა განაპობს?  
ხედავთ მაგ ტანსა, გულ ნამტანსა, ნორჩსა, მრხეველსა,  
შეჰხედეთ თმათა, ხშირთა შავთა, — შევნობენ წელსა,  
მკლავს მე ხელების, ზესთა ფრთების უცხოდ ხმარება,  
აგრე მოჰფრინავს, თითქოს მიწას არ ეკარება!  
ვიმ მაგ სახესა, სინაზესა, სულის სარკესა!  
მაგ ნაზ ტუჩებზე ეგ ღიმილი ვინ დაგინესა?  
ხედავთ, კავები, წყეულები, ტაშსა ჰყვებიან,  
როგორ ცელქობენ, აშიკობენ, ეკონებიან?  
აი თვალეზი, მაშვენები ლამაზი სახის,  
სავსე ცეცხლითა და ელვითა, სადგურნი ეშხის.  
მოდით მჭვრეტელნო, ტაშის მკვრელნო, უთხრათ მადლობა,  
დავლოცოთ მაგის ცხოვრება და ყმანვილ-ქალობა,  
ან მე შევამკობ, თქვენ ქებისა დაჰკარით ტაში,  
ეს ლექსი ვუძღვენ, მან მიიღოს ვითა შაბაში.



## ნინო რამიშვილს

თუ წმინდა ნინომ ქრისტიანობა,  
 ვაზის ჯვრით კარ-კარ შემოატარა,  
 და საქართველოს ყოველ კუთხეში,  
 მან ჯვრით მონათლა დიდი, პატარა,  
 თუ ჩაინერა სახელი წმინდა  
 ოქროს მძივებით მატიანეში,  
 და თუ ამ სახელს ქართველი დედა,  
 შვილს გაანდობდა დედურ აღერსში,  
 შენ ის სახელი როდი შებღალე,  
 ატარე ისე, არსად დანისლე,  
 ნინოვ, დღეს შენი მზერა თუ მინდა  
 სურვილი არის იგი ხვალისვე.  
 რაც მამა-პაპათ დანერგეს ჩვენში,  
 შენ საზღვრებს იქით გაამზეურე,  
 კვენესის დუდუკი, მეც აზარფეშით,  
 გლოცავ, ხალასი გრძნობის მეურვევ!  
 ქართველი ქალის წმინდა ლეჩაქი,  
 ნაზი არშით შემოქარგული,  
 უმანკოება და სიფაქიზე  
 კდემამოსილი გრძნობა ქართული.  
 ხან მოსრიალე, ვით თეთრი გედი,  
 ხან ჯეირანი ამაყად მდგარი,  
 წელზე ნამუსის უწყვეტი ღვედი  
 ვის არ მოხიბლავს ასეთი ქალი.  
 ირგვლივ კი ქართველ ვაჟკაცთ კრებული,  
 მარილმოყრილი ეშხის იერით,  
 ლხინში ამაყად თავაღებული  
 მტერთან კი მკაცრი, შეუპოვარი.  
 ვეფხის ნახტომით, არწივის მზერით,  
 დღეს ჩვენი ერის მონაპოვარი,  
 მაგ შენს ცეკვებში ცოცხლობს და მღერის,  
 თარფი, დუდუკი, დაფი, ნალარა  
 თავადი, კინტო ბაღდათით ხელში.  
 ყარაჩოხელის თმებში ჭალარა,  
 შოთი პურები და აზარფეში.  
 ქართველი ერის ყოფა წარსული,  
 ძველი თბილისი, ნათლობა, ჯვარი,  
 წიგნთსაცავებში განისვენებენ,  
 როგორც წარსულის მოსაგონარი.

მაშ რაღას უცდით, დაასხით ღვინო,  
 ზღვა გრძნობა გულით რისთვის ვატარე?  
 იცოცხლე, ჩვენო ძვირფასო ნინო,  
 ქართული საქმის მოამაგდარე!  
 ნათელი სხივი გამოსავდეს მარად,  
 ხარობდე ხალას გრძნობებ უცვლელი,  
 მაშინ შენზედაც ილაღადებენ,  
 ქართველი ერის წიგნის ფურცლები.



## განდაგანა

*ფატმა კობალაძეს*

*„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა ალვის ხის ჩამონათალი,  
წყალო დადექ და მითხარი საყვარლის შემონათვალი“.*

*აჭარული ხალხური*

მინილადე სიხარული  
რწმენა თმენით მონატანი,  
„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა  
ალვის ხის ჩამონათალი.“

პირდაპირი იყო სწრაფვა,  
პირდაპირი, პირდაპირი,  
აბა, იმ გზას რაც ვიარეთ  
სხვანაირად ვინ გაივლის.

ჩამოკრიფა ცა კალთაში,  
ფეშტამლების ფერთა ფრენამ,  
ამეტყველდა განდაგანა,  
ლალი, როგორც დედაენა.

ჩაქურებში ჩაკრულ სირმად  
ელავს ელვა მთის ნაოჭში,  
ეს რიტმები მიაქვთ ირმებს  
ბუჯგა რქებში მზეამოჩრილთ.

განდაგანა – ვაზის ლერწი,  
სულის ღერძზე მოხვეული,  
განდაგანა – ფრთების ქარი,  
ზვავი კლდეებს მოხეული.

განდაგანა – ნება, შვება,  
ცხელი ცრემლით განბანილი,

განდაგანა – მოქნეული  
ბნკარში ქართულ ანბანივით.

აი, ნახეთ, ნუთი, ნუთიც  
სიჯეელეს დაამგვანა,  
სისადავის, სისათუთის,  
სისალუქის განდაგანამ.

მარცვალაც რომ არ გორავდა  
არც ბეღელში, არც ხვიმირში,  
განდაგანა ქოჩახელას  
სარჩო იყო ჭირში, ლხინში.

სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ,  
ზეგან-ზეგან, ბარის ბარად,  
გულმრისხანე გრიგალები  
საალერსოდ გადამდნარან.

ეს ჰანგი არ დაძველდება,  
შიგ ფეთქავენ ხმები ხვალის,  
ხმები მარგალიტად მღვრელი  
სულ ახალის და მაღალის.

ახლა ისე აზანზარებ  
სასახლეთა მაღალ ქერებს,  
ვიცი, ჩემო განდაგანა,  
ველარავინ შეგაჩერებს.



ინგა თევზაძე და ფრიდონ სულაბერიძე



ნელი ხაშომია



თენგიზ უთმალიძე, ნინო რამიშვილი და ოზარ მხეიძე

### მხეიძეთა მხედრული

ჯერ თუ რაღაც იჭვი გვბორკავს  
და ბურუსში თვალს ვერ ვახელთ,  
ნახეთ მხეიძეთა როკვა,  
მხეიძეთა ჯანყი ნახეთ.  
ჩემი ხმა თუ აღარ ისმის,  
და დრო ფეხქვეშ მიგებს მახეს,  
საქართველოს უდუღს სისხლი,  
ნახეთ, საქართველო ნახეთ!  
არ დუნდება, კვლავ რეკს ზარი  
ტალღა უნდა აჰყვეს ტალღებს, -

ჩვენი ქვეყნის მომავალი  
ნახეთ, ამ რიტმებშიც ნახეთ.  
მინა იძვრის, სახლი ტოკავს,  
სხივად სხლტება შუქი ნახმლევს,  
ნახეთ მხეიძეთა როკვა,  
მამაშვილის ცეკვა ნახეთ!  
ცერზე დგება მთა და მდელი  
გზა ეთმობა მინყივ ახლებს, -  
ვიდრე ბორგავს საქართველო,  
ცრუ სანუთრო ხელს ვერ ახლებს.

მზია ხეთაგური

### ქართულ ცეკვას

*ვუძღვნი თენგიზ უთმელიძეს და  
ყველა ლეგენდარულ ქართველ მოცეკვავს.*

არ დაიჩოქებ, არ შედრკები იმათ წინაშე,  
ვინც საქართველო მისხალ - მისხალ, ხარბად გაყიდა...  
მედგარი სული არ დაცხრება და გაილაშქრებს,  
მზეს ჩრდილოეთით ჩაასვენებს სამარყანდიდან!

შენ ქართულ ცეკვას დაუჩოქე და შეაბერდი,  
ვით ბრძოლის ველზე, არასოდეს დაგიკენესია,  
თვალთა ნაპერწკლებს, ხანჯლებივით, ცეცხლად აფრქვევდი,  
თუმც საავკაცოდ სიტყვა არსად აგილესია!

არ ეღირსება ჩვენს მოშურნეს ავი ზრახვების  
აღსრულება და ყალბი ცრემლით გულის მოგება...  
არ დაიჩოქებს კავკასია, თუნდაც ძარღვებში  
სისხლი უღირდეს, სასიცოცხლო, ერთ დაჩოქებად!

მუხლს არ მოიყრი, არ შედრკები იმათ წინაშე,  
ვინც საქართველო მისხალ - მისხალ, ხარბად გაყიდა...  
ქართული სულით კვლავ აღსდგები და გაილაშქრებ,  
მზეს ჩრდილოეთით ჩაასვენებ სამარყანდიდან!

### ცეკვა „ქართული“

ჩაიქროლებს როგორც ქარი,  
ვაჟი ჩოხის ამარა,  
არწივივით გაშლის მკლავებს,  
ცაში შეკრავს კამარას.

ქალი დალალჩამოშლილი,  
თეთრი ფატის ამარა  
მოგოგმანებს ვით ქედანი,  
შვილის ნუკრივით პატარა,  
მზემ მოხვია სხივთა ბადე,  
ხელის გულზე ატარა.

ჩაიქროლებს მინდვრად ქარი,  
ამ წყვილს არ ჰყავს ბადალი,  
იქვე მათი შემხედვარი,  
ცეკვას ხატავს მხატვარი.



მანანა აბაზაძე და თინგი უთმელიძე



## ქართული ცეკვა ხმლებით

ქართულო ცეკვავ, ლერწამ ტანისა,  
შენ დამიფარე ავი თვალისგან!  
ქართულო ცეკვავ — სულო ელვისა,  
შენ დამიფარე ავი ენისგან!

შემომატარე  
ვაჟკაცთა მხარე,  
გამიზაფხულე და გამახარე  
ცეცხლი ნამკიდე და გადამბუგე,  
მეც მაზიარე მაგ სიჭაბუკეს.

ქართულო ცეკვავ,  
ცად ამიტაცე  
და მთებს მასტუმრე საიალადეს,  
ჩამომიყვანე მერე მიწაზე  
და ჩამახუტე მწვანე ბალახებს.

მუხლზე დაკვესე, დაიმტვრიე დოლი, დაირა!  
ვაჟკაცები ვართ, ვერ ვიცეკვებთ ჩვენ სხვანაირად!

ამალამ ყველა დაივინყებს  
ცას და მნათობებს,  
რადგან, ასულო, მაგ თვალეებმა მართლა დაგვთოფეს.

ამ ქართულ მიწას ვეთაყვანოთ,  
ამ ზღაპრულ მიწას,  
ფეხისწვერებზე რომ დაუვლის ილიკო ფიცხლად.  
ქარტეხილივით,  
ორბის ყივილით,  
ისმის ყიჟინა  
შემართული ხმლები კვესავენ:  
„ჩამომიქროლე, რა კარგი ხარ, შენი კვნესამე!“

გალავნის იქით ჭიხვინებენ ზორბა ცხენები  
და ლაგამს ხრავენ,  
მეცხვარის ძაღლებს ცეცხლისფერი უჩანთ ენები  
და მთებს ქორივით ეცემა ღამე.

თითქოს მოისმის  
თქარათქური  
ცხენთა ფლოქვების.  
არის ყიჟინა  
და ფრიალი შავი ჩოხების...

ქართულო ცეკვავ, მაზიარე შენს სიჭაბუკეს!  
შენი ელვა და ცეცხლი მაჩუქე!





მარინა მხეიძე, ნინო რამიშვილი, ნაირა ჟორდანი

## სამაია

სამეული ცეკვავს ქალთა,  
რხევა ტანთა, ბროლის მკლავთა,  
ნისლს მიუგავთ კაბის კალთა  
ცეკვავს თამარ, ნინო, თამთა.  
ფერიების სამეული  
სამი მკერდი,  
სამი გული,  
ნუშის ყვავილმობვეული  
სიცოცხლე და სიხარული.  
ნეტარება,  
სულის ღელვა,  
მარმარილოს შუქით ელვა,  
აცხადება ნანატრ ფიქრთა  
ნაქანდაკარ ნაკეთებითა.  
გამიტაცებს ფრენა-ფრენით,  
ხან მინაზე დამსვამს უცებ,  
მათი ბაგის ლალის ფერი  
შეშურდება ვარდის ფურცელს.  
სახეს, მთვარის სხივით ნაფერს,  
მოშვილდია მერცხლის ფრთები,  
დილასავით მაფენს ნათელს  
შემომყურებს გიშრის ტბები.  
მოყვარულნი და გამრჯენი  
არასოდეს ბერდებიან,  
ისინი ხომ ჩვენთა შვილთა,  
ჩვენთა გმირთა დედებია!  
ვუცქერ სამთა შემართებას,  
არ ვიცი რა მემართება:  
ამაღლებულს სუნთქვა მიჭირს,  
რადაც ისეთ ძალით მავსებს,  
როცა ცეკვავს ერის ნიჭი,  
საქართველოს სილამაზე!

## ხორუმი

ჩუ, ნალარის ხმა მოდის,  
თუ ეს დოლი გრიალებს?!  
ტყისპირ რაზმი გამოდის,  
ბაშლაცს მოაფრიალებს.

მოიჩრდილეს ხელი და  
ბუკსა ჰკრეს და ლელავენ:  
ვაჰ, თუ გაჩნდა მტერი და  
შემოგარენს ზვერავენ.

ბრძოლებით გვიპოვნია, —  
ჰკითხე სარფს და ციხისძირს,  
ხორუმი — სიმფონია  
საქართველოს სიფხიზლის!

ფხიზლად! ფხიზლად!  
ლომური კამარისთვის ნახრილან,  
ფხიზლად! ფხიზლად!  
ხორუმი გრგვინავს სულისძახილად.

ფხიზლად! — საქართველოს,  
გარეშემო უვლიან,  
— არავინ გადათელოს  
— აჭარა და გურია!

ბრძოლებით გვიპოვნია —  
ჰკითხე სარფს და ციხისძირს,  
— ხორუმი — სიმფონია  
— საქართველოს სიფხიზლის!

ხავერდის სავარძლიდან  
პროფესორი გაჰყურებს  
სრიალს წულა-მესტისას  
და მშობლიურ ჩაქურებს.

ბატონი პროფესორი,  
ვგონებ, ცოტა დაღლილა!  
— ფხიზლად! ფხიზლად!  
ხორუმი გრგვინავს სულის ძახილად.

— ბრძოლებით გვიპოვნია, —  
ჰკითხე სარფს და ციხისძირს,  
— ხორუმი — სიმფონია  
— საქართველოს სიფხიზლის!





ვიოლეტა სახვაძე

## საქართველო ცერზე ღვება...

ქართულ ცეკვას საროსტანა  
ასული და დოლი შვენის,  
საქართველო ცეკვა-როკვის  
სამშობლოა ძველთაძველი.

სვანი ცეკვავს ცერზე ცერულს,  
მთიელს მთიულური შვენის,  
კახნი კეკელას და მაროს,  
გვირგვინი გვაქვს დიდი ერის!

თეთრ კაბაში სამაია,  
ჩიხტიკოპი, ნაწნავები,  
კაცი ჩოხით, ბენვის ქუდით,  
მოქნეული მხარ-მკლავებით.

ჩაქურით და ყაბალახით,  
აჭარელი სამობს, როკავს,  
დოლ-გარმონის ხმები ისმის,  
სული თრთის და გული ტოკავს...

ხორუმს რალა შევადარო,  
განდაგანას – ცეკვას ტანით,  
გურულების ფერხულ-ფარცას,  
და მეზადურს ლაზისტანის,

აფხაზური შარათინი,  
კინტოური ქალაქური,  
ოსი – სინდით, რაჭა- სტვირით,  
ყაზბეგური, მოხეური...

მთიულური — საოცრება,  
ცეკვა ხმლით და ცეკვა ფარით,  
ტაოელთა ძველი სამა —  
ნატიფი და საოცარი...

ქართულ ცეკვას — სულის როკვას,  
ერგო დროის ქებათ-ქება,  
საქართველოს ფარავს ღმერთი,  
საქართველო ცერზე დგება!

## ქართულ ციკვას

ჩემო დიდო საუნჯევ,  
შენით ვმალლობ, ვდიდგულობ,  
შენს როკვაში სამშობლოს  
ისტორიას ვკითხულობ.

ქალთან მუხლზე დაჩოქილს,  
რაინდულად ქედმოხრილს,  
ცერზე შემდგარს, ღმერთისკენ,  
ლოცვით ხელებაპყრობილს.

ავბედობამ ვერ გძლია,  
მაინც ძერნე ქართული,  
ვაჟკაცობის სიმბოლო,  
ხორუმი და ხანჯლური.

გადაურჩი ჟამთასვლის,  
აღმა-დაღმა ბრუნებას,  
ილეთებში ახვევდი,  
სამშობლოს ერთგულებას.

მუჰაჯირად გასულო,  
ჩემო ცეკვავ, ქართულო,  
შენ, კოლხურო ლეგენდავ,  
„ჯილველოდ“ მონათლულო.

ხიზნობაში, რჯულივით  
თავი ძლივს რომ ინახე,  
სიდიადე მეფური  
მაინც შემოინახე.

სიმღერასთან მხარიმხარ,  
ზარით და მოძახილით,  
გზას იკვლევდი „მხედრულით“,  
ფართია და მახვილით.

შენი მადლით შვილები,  
კვლავაც დამიფრთიანე,  
წრეშეკრული ფერხულით  
ერი გამიმთლიანე.



ჯუმბარ ბერაძე



ნინო რამიშვილი



შოთა ხოჭავაძე

ქართული ცეკვის ვარსკვლავებს,  
ჩემს პარტნიორებსა და მეგობრებს სიყვარულით ვუძღვნი ამ  
მოკრძალებულ ლექსებს.

თენგიზ უთმელიძე

## ლატავრა

ლატავრას როკვა  
ღვთიური,  
ტკობაა და  
სასწაული,  
ენით უთქმელი  
სიტურფე,  
მარადი  
დღესასწაული.  
ფრესკული  
მშვენიერება,  
აელვარება – მზიური,  
პლასტიკის  
სრულყოფილება  
ნატიფი და ზეციური.  
აღმოდებული სილაღე  
და სიკეკლუცე  
დიადი,  
ხან მძღაფრი,  
როგორც „ლილეო“,  
ხან უშბასავით  
ზვიადი...  
ლატავრა — ცეკვის  
ქალღმერთი,  
ჩაუქრობელი  
ლამპარი,  
ვით მონარნარე  
ოცნება  
და შორეული  
ზღაპარი...



ლატავრა ფოჩიანი

## შენ, ბიჭო, ერთანმინდელი...

(ჯემალ ნაფროზაშვილის გახსენება)

თვალწინ მიდგას და ვიხსენებ,  
რა დამავინწყებს მე იმ დღეს,  
ძმადნაფიც ფრიდონთან ერთად,  
დიდ ანსამბლში რომ მიგიღეს.

დამშვენდა „სუხიშვილები“,  
ორი ლამაზი ბიჭითა,  
ორთავ დახატეთ ცეკვები,  
მადლითცხებული ნიჭითა.

როკვის დროს აენტებოდი  
ინვოდი, როგორც სანთელი,  
მთელს სცენას ეფინებოდა,  
შენი ღიმილის ნათელი.

კიდევ ის დამამახსოვრდა,  
სათუთა როცა ჰყვებოდი —  
მოხუცი დედის დამჭენარ მკერდს,  
რარიგად ეფერებოდი.

გულჩვილიც იყავ, ვაჟკაციც,  
სახე ქართველი კაცისა,  
ჯიში და სისხლი მოგდგამდა  
გიორგი სააკაძისა.

გიყვარდა შენი სოფელი,  
წმინდა ტაძრებით — სამებით,  
სადაც მარხია პაატა,  
სპარსეთს მოკლული წამებით.

სიცოცხლეს ცეკვით ამკობდი,  
შუაგულ ქართლში შობილი,  
შვილი კურთხეულ მინისა,  
რაინდი კეთილშობილი.

გშვენოდა ლალი მოლხენა,  
მეგობრის ფასიც იცოდი,  
შენებრ ალალს და გულლიას  
ცოტას თუ ვინმეს ვიცნობდი.

არ გვავინწყდები ძმობილო,  
მუდამ ჩვენთან ხარ, გვახსოვხარ,  
შენს შესანდობარ ჭიქას ვწევთ,  
კელაპტარს გინთებთ სახსოვრად.

რად მიგვატოვე უდროოდ,  
რა ცუდი საქმე გვიყავი,  
შენ, ბიჭო, ერთანმინდელი,  
რა კარგი ვინმე იყავი!



ფრიდონ სულაბერიძე და ჯემალ ნავროზაშვილი



მანანა აბაზაძე და ჯემალ ნავროზაშვილი

## ნინო კირვალიძე

გშვენის კდემილი სინარნარე, როკვა — გოგმანი,  
და სიკეკლუცე როსტეევანის თინათინისა,  
რუსთველის უკვდავ პოემიდან ცოცხლად გადმოსულს,  
თვალეში გიკრთის უსასრულო ლაჟვარდი ცისა.

ფრესკას მაგონებ სვეტიცხოვლის კედლიდან მზირალს,  
ხან ზამბახს ჰგავხარ პირმშვენიერს, ხან კი ნაზ იას,  
სცენაზე ძერნავ საქართველოს ნარმტაც საუნჯეს —  
ბრწყინვალე „დავლურს“, ღვთიურ „ქართულს“ და „სამაიას“.

არ ვიცი, კიდევ რით შეგამკო, არ მყოფნის რითმა,  
შენი მშვენებით მონუსხულს და უზომოდ აღვსილს,  
შენ ხარ ზმანება ათას ერთი ღამის ზღაპრიდან,  
და საოცრება ბიზანტიურ მადონას მსგავსი.



ნინო კირვალიძე



თენგიზ უთმელიძე და მანანა აბაზაძე

## „ხევსურული ბალადა“

*მანანა აბაზაძეს*

„გამოლმით მე ვარ, გაღმა შენ,  
შუაზე მოდის მდინარე“,  
ანსამბლში გოგო მოვიდა,  
პირმშვენიერი, მღიმარე.

როკვისთვის დაბადებულა,  
ეს ტანკენარი გოგო,  
ხევსურის კაბა ჯვრიანი,  
როგორ ამშვენებს, როგორ.

სცენაზე შევხვდი პირისპირ,  
ვცეკვავთ ხევსურულს ერთად,  
გოგონა ნუკრისთვალეა,  
მსურს, რომ აღვიქვა ღმერთად.

ფარ-ხმალი მხარზედ გადვიგდე,  
გზნებით გავშალე ხელი,  
მე მივსდევ, ის კი გამირბის,  
როგორც დამფრთხალი შველი.

მწველი თვალების ბრიალი,  
როგორ მახელებს, როგორ,  
ნუ გეშინია, სად მიხვალ,  
რად გამირბიხარ გოგოვ.

შეჩერდი წამით, მისმინე,  
შატილს აგიყვან მთებში,  
ლურჯთვალა იებს ჩაგაკრავ  
მაგ დალალდანულ თმებში.

გადაგატარებ ჭიუხებს,  
საჯიხვეების გზებთან,  
არნივთ საბუდარს განახებ  
და შეგახვედრებ მზესთან...

.....

„მაგრამ ვერსაით გადმოვედ,  
ამ სატიალოს მდინარეს“...  
ვერ მოვიხელთე, გამექცა,  
თვალხატულა და მცინარე...

## ფრიდონ სულაბერიძეს

უფალმა უხვად გიბოძა,  
ნიჭი ქართული ცეკვისა,  
მეგზურად მუდამ თანა გდევს  
ლოცვა და სითბო დედისა.

როგორ არ ვაქო, ვადიდო,  
ფეხი ლამაზად გასმული,  
როკვის ილეთთა აკიდო,  
მარგალიტებად ასხმული.

ხელთუქმნელ ძეგლად აქციე,  
კდემით შემკული „ქართული“,  
ამ შედევერშია შენს მიერ,  
ღვთიური მადლი ჩართული.

ყარაჩოხელის დუდუკი,  
კინტოს მუსიკით უნათებს,  
უზადო ხიბლით აცოცხლებ  
„ძველი თბილისის სურათებს“.

ლალად გაშლილი მკლავებით,  
ამაყად უვლი „განდაგან“,  
შენს როკვას როცა შევცქერი,  
სიზმრის მგონია ხანდახან.

ტაშს გიკრავს მთელი მსოფლიო,  
ფეხზე ამდგარი „ლა-სკალა“,  
ქართველმა ხალხმა შეგრაცხა  
ცეკვის კაშკაშა ვარსკვლავად!



ფრიდონ სულაბერიძე



იამზა დოლაბერიძე

## ფერია

(იამზე დოლაბერიძეს)

ქართული ცეკვის ლეგენდა,  
სცენის მშვენება იამზე  
როკვის დროს ისე ირწევა,  
როგორც ლერნამი ნიაზზე.

ნარნარი დავლა, უზადო,  
ყელმოღერებულ გედივით,  
გოგმანი, შენავარდება,  
ფრთაგაშლილ, თეთრი მტრედივით.

გზნებით გაშლილი მკლავები,  
ეს მიმოხვრანი, ეს ტანი,  
მზისებრი აელვარება,  
გაცოცხლებული ნესტანი.

ხან მწველი იდუმალება,  
ხან ღვთაებრივი მიმიკა,  
როკვაში ამღერებული,  
პოეზია და ლირიკა.

ერის საგანძურს აბრწყინებს,  
ეს უნაზესი ფერია,  
და ამ ფერიას სადარი  
ამქვეყნად არაფერია!

## ჯუმბარ პერაქის

ჩემი ლექსები შენთვის ნიშნავს თითქმის არაფერს,  
თუმცა ეს სიტყვები გაგრძნობინებს ზოგჯერ ბევრ რამეს.

ქვეყნად ხომ რაღაც, სამუდამოდ, უკვდავად რჩება,  
მეც მინდა ჩემგან მოისმინო პატარა ქება:

შენ გიცხოვრია სიკეთით, სიბრძნით და ბეჯითობით,  
სიჭარმაგეში ნაღდი კაცობით, სიჭაბუკეში კარგი ბიჭობით.

აღბათ მოდგმით გაქვს ნაბოძები გენების ძალა,  
როცა როკვის დროს ენთებოდი ცეცხლად და ალად.

სცენას ამკობდი მგზნებარებით, როგორც ავაზა,  
ქართული სული შენმა ცეკვამ გაალამაზა.

უხვად გაქვს ღვთისგან ნაჩუქარი ნიჭი, გონება,  
მიტომ არ გიჭირს ახლის აღქმა, გამოგონება.

შენ გულის სითბო შეალიე შრომას, შენებას,  
თაყვანს სცემ ხალას სილამაზეს, ეტრფი მშვენებას.

ვინც კი შეგიცნობს, ყველას ხიბლავს ერთი ცდუნება —  
შენს გვერდით ყოფნა, შენთან ძმობის შენარჩუნება.

დაბადებულხარ ცეკვის და ქცევის კეთილ ვარსკვლავად,  
კაცურ-კაცობის ეტალონად დარჩები მარად!



ფეხმძივნი ბერადი



თამაზ კიკალიშვილი

## „კიკალა“

(თამაზ კიკალიშვილს)

ეს რა განძი გვაბადია,  
როკვა მადლით განფენილი,  
თუ გინახავთ მოცეკვავე,  
მერცხალივით გაფრენილი.

როცა სცენას დოლის ხმაზე,  
მოედება ცეცხლის ალი,  
ეს ჭაბუკი მარდად ბრუნავს,  
მკვირცხლი, როგორც ვერცხლისწყალი.

ჭაბუკს მოსდგამს ჯიში კოლხის,  
შმაგია და ანვართული,  
ყოველ სხლეტში ჩაქსოვილა,  
მისი გული, მისი სული.

თვალეზიდან ცეცხლს აკვესებს,  
დაჭიმულა, ვითარც მშვილდი,  
ვინც ელვარე ტალანტს უმზერს,  
ვერა, ვერ დარჩება მშვიდი.

სცენას როკვით ისე ხატავს,  
ლამაზ ტილოს, ვით ნიკალა,  
ცისარტყელას ფერებით რთავს,  
ქართულ ცეკვებს, ეს „კიკალა“.



ლათავრა ფორიანი

*„ცეკვა „ქართული“ — ღმერთთან მისული,  
მძლავრი ფეთქება ანთებულ გულის,  
იგი ჰიმნია მარადისობის  
და სიმფონია ივერთა სულის!“*

### ლატავრა ფონიანი

ლატავრას ქროლვა ჰაეროვანი,  
როკვის გვირგვინი — ჩვენი „ქართული“,  
მადლითცხებული ხატება ერის,  
გასაოცარი და შემართული.

მშვენიერების შორს მოსაფენად,  
დედოფლურ ეშხით ცეკვავს ლატავრა,  
ქართული გენი, ქართული სული,  
მსოფლიოს გზებზე კდემით ატარა.

ქართლოს ჯასრაძე

\*\*\*

„როცა ლატავრა მზეებზე ბრწყინდება,  
თამარის ფრესკა ბრწყინდება მაშინ...  
როკვა „ქართული“ ვის მოსწყინდება,  
როს ცეცხლის ელვებს ჩაინწავს თმაში!..

და დედოფლური სახის კაშკაშით,  
ვით გასაოცარ მზეთა მზისობა,  
ცეკვავს ლატავრა და ამ ცეკვაში  
იგრძნობა ერის მარადისობა“...



მამარ მამარია

## ოზარ მხეიქის

ეზურძგლება ელვას ბენვი,  
ხარ არგვეთელ ძმათა მოდგმა,  
გულში გჭირს და გულში გენვის  
დედო ზარის ხმა და მოთქმა.  
გულში გჭირს და გულში გტკივა  
ჯავრიანი ვაჟის განცდა,  
კაცი მთასთან როცა მივა,  
მთაც მივაო მაშინ კაცთან.  
სისხლში მზე და ვაზის სული,  
არაგვის და თერგის ხმა ხარ,  
მალლა ცამდე აზიდული,  
მორული თეთრი მთა ხარ!  
ვერ აავსო ქარმა ბუქით  
გზები, — შენგან დანალახი,  
თავზე გადგას მთვარის შუქი,  
ნისლი, — შენი ყაბალახი.  
ზეცა სავსე სადაფითა,  
მზე ართვინით ამომსვლელი,  
ლამე — შავი ნაბადი და  
ჩოხა — სულის სამოსელი.  
მოუმართავს სიმი ებანს,  
ცისარტყელას ფრთებქვეშ ვიშვით,  
ცისკენ იწევს, ცერზე დგება  
ქედუხრელი ჩვენი ჯიში.  
ვცოცხლობთ: არა დავმინდით და,  
ზეცის გახსნას კვლავაც ველით,  
მოხველ ფარვით კრწანისიდან,  
როგორც ბოლო არაგველი.  
ხმაში რვალი, თმაში ვერცხლი,  
სულსაც უამს, უამს ხელი,  
ფენის თითებს გასდით ცეცხლი,  
მინას უვლის ჟრუანტელი.  
ეზურძგლება ელვას ბენვი,  
ხარ არგეთელ ძმათა მოდგმა,  
გულში გჭირს და გულში გენვის  
დედო ზარის ხმა და მოთქმა.



ლათავრა ფორიანი და ფრიდონ სულაბერიძე

## ფრიდონ სულაბერიძეს

შეეპარაო სიბერე ბერთას<sup>1</sup>,  
შეეპარაო, იტყვიან სხვანი.  
„არა და არა!“ — მას დიდმა ღმერთმა  
უბოძა ცა და უბოძა ფრთანი.  
უბოძა მზე და უბოძა მთვარე,  
მგლის მოუღლეელი უბოძა მუხლი,  
ქაჯეთის ციხეს კვლავ უხსნის კარებს  
„ქართულ სულს კვლავაც ბეგარას უხდის“.  
უღიმის ფიქრში იმ მამაც ტომებს,  
იყვნენ ცრუ სოფლის რომელნიც ურჩი,  
როკავს და ისეთ ნაკვალევს ტოვებს,  
როგორც ტილოზე დიდ მხატვრის ფუნჯი.  
როკავს და ხედავს: ბინდში თვლემს სამცხე,  
ხანხალის ტბასთან განგაში არის,  
ღმერთმა არა ქნას ოდესმე დაცხრეს,  
ოდესმე დაცხრეს მის სულში ქარი.  
სტკივა ქემერტი და სტკივა რინა,  
ცოცხლობს კვლავ სულის წადილის გამო  
და ფეხით ისე ეხება მიწას,  
თითქოსდა მისგან გაქცევას ლამობს.  
ცეცხლის მნათობი კვლავ აფრქვევს აღმურს,  
სწყდება ბროლ-ბაკმი თვალთაგან მუშთარს,  
როცა ქართველი დაუვლის დავლურს,  
მთვარეც ხელებს შლის და იწყებს შუშპარს.  
შეეპარაო სიბერე ბერთას,  
შეეპარაო, იტყვიან სხვანი,  
„არა და არა!“ — მას დიდმა ღმერთმა,  
უბოძა ცა და უბოძა ფრთანი.

---

1. ბერთა - სვანურად მოცეკვავე



ნება თივზინაძე



შალვა ბარუჩაშვილი







ლათავრა ფორიანი და ფრიდონ სულაბერიძე

## ფრიდონ სულაბერიძეს

*ხალხურ მოტივზე*

თბილი მოკეთის სისხლივით, მჭრელი ჯურღაის ხმალზედა,  
წამალი ყველა სიკეთის, მოყვრად მოსული კარზედა,  
ცეკვა „ქართულის“ მუსიკა, საამო ბულბულთ ჰანგზედა,  
აჟღერდა, ამოთაფლშაქრდა, დოლ-დუდუკისა ხმაზედა.

დაიპყრეს სცენა დაწყვილდნენ, მოჰყვნენ ვარდები მაისებს,  
ისე უბრწყინავთ თვალები, როგორც ცვარს მზიან აისზე,  
მონათდნენ სანთლის შუქივით, საკმეველს შეელაციცნენ  
და დაამკვიდრეს დარბაზში ქართული სიდარბაისლე.

ვაჟმა გაშლილი მკლავები ზეცაში გაალამაზა,  
წინ წაუძღვარა ღიმილი, თავის რაინდულ დაკვრასა;  
შემოვლის შემდეგ აენტო, გასმების ცეცხლი ახანძრდა,  
ჟრუანტელს ცრემლი მოჰყვა და სულში მზემ გაინავარდა!

ქალი გრძნობს ვაჟის სიმტკიცეს და თავს მოხდენით იცავსა,  
სახეზე სიამაყე კრთის, გულს კი, ველარ სტევს მისასა;  
ქართულ ჯიშ-ჯილაგს ვერ წაშლის, ცეცხლ რომ მოედოს მინასა,  
ცეკვით ვწერთ „ვეფხისტყაოსანს“, ამით ვჯობივართ სხვისასა!

კაბა ქალს შეენის ქართული, ვაჟკაცს კი ჩოხა სირმისა,  
მხიბლავს სინაზე ასულის, ვაჟის ნახტომი ირმისა.  
ვარსკვლავს გიხდება ვარსკვლავი, რაინდს რად უნდა შექება,  
ხალხმა, ღირსეულს გინოდა „ქართული ცეკვის ლეგენდა!“

ხალხურ ცეკვების დიდოსტატს, სცენის ავაზას, შემტევსა,  
უფალმა მოგცა ეგ ნიჭი, სულის სიმდიდრე გეთესა.  
სიტყვა ვერ ვნახე, რომ გკადრო, სხვა ძალა აღარ შემწევსა,  
თუმცა სხვა რაღა გინოდო, ცეკვა „ქართულის“ მეფესა!

### შენგან მოველი შველას!

ჩემი ფიქრებით, ჩემი ტკივილით,  
უკვე შევასკდი ზეცას,  
აქეთ გავდახე, იქით გავდახე,  
ვედახი დილის მერცხალს.  
ზეცას შევდახე, მინას ჩავდახე,  
ჩემგან გაფრენილ მერანს,  
ყველას ვედახი, ყველას ვედახი,  
ყველას ვედახი, ყველას.  
ზენას ვედახი, მშობელს გვედახი,  
ვედახი ჭიანჭველას,  
გადამირჩინე ჩემი სამშობლო —  
ვესაუბრები ძერას.  
სიმღერას ჩემსას, ჩემსას სიმღერას,  
ზღვით, ცით შეფერილ ფენას,  
ცერზე შემდგარო, ცეკვავე ქართულო,  
შენგან მოველი შველას.

ლალო ჯახაძე

### ცეკვა „ქართული“

ც—აში დავეძებ სულმნათების უკვდავ ნაკვალევს,  
ე—რთგულ შვილების ნუ მოშალოს ქვეყნად დიდება,  
კ—არგი ილეთის დამფასებელს ღმერთი არ დალევს,  
ვ—ამაყო, ნიჭი უცილობლად წარმოჩინდება.  
ა—მობრწყინდება, ვიცი მალე, ამობრწყინდება,  
ქ—ართველთა გენი, ნაფერები მხოლოდ უფალის,  
ა—დიდგორება, აზვირთება ისე გვჭირდება,  
რ—ომ ოცნებების გავაგზავნე ცაში უსტარი.  
თ—ერგს ყალყზე დამდგარს, არავცს მგვრგვინავს, ენგურს გულზვიადს,  
უ—იმედობის არ ატყვიათ არცა მისხალი,  
ლ—ამაზ ასულებს ვაჟკაცების გრძნობა უგრძნიათ,  
ი—ბერთა მოდგმა რომ გრძელდება, ცეკვით მითხარი.

## სალალოზო

„— ალო! ალო! რედაქცია! მისმინეთ, რომ გადასცეთ!!!  
პირველ გვერდზე, მაქსიმალურ მსხვილი შრიფტით აანწყეთ:  
„ფანტასტიკა!“ „ურაგანი!“ „საოცრება!“ „სენსაცია!“  
„ქართულ ცეკვის ელექტრონმა გაგვაცხელა, გაგვაცია!“

„ჯადოქრები ჩამოსულან კავკასიის მთებიდანო!“  
„ზღაპარი და ფანტასტიკა ამირანის ქვეყნიდანო!“  
„ეს — ზღაპრული ბალეტია! ხმალი ხმალზე ნაკენწლები!“  
„ნახეთ ქართველ ლომთა ცეკვა, თვალებიდან ნაპერწკლები!“

„ქართულ ელვის ჯადოსნობა! „ვეფხვები და ავაზები!“  
„საქართველოს გოგონები — ენძელებზე ლამაზები!“  
„მოხვედით და დაგვიპყარით!“ გადირივნენ მნახველები:  
„ვინ ყოფილან ქართველები“, რა ყოფილან ქართველები!“

ვინ ვისა სჯობს სიკეკლუცით, ველარ დამახსოვრებით,  
რომ შეხედეს, კოსმოსიდან ჩამოსულნი ჰგონებით...  
გამარჯვების ხმა მოვიდა მოსკოვიდან თბილისამდე  
და გავარდა ჩვენი ქება მანგლისიდან ინგლისამდე...

ლონდონში და მანჩესტერში, პრალაში და ბუქარესტში,  
ვენაში და სოფიაში, პელსინკში და ბუდაპეშტში,  
ბერლინში და ვარშავაში, პარიზში და ჩიკაგოში,  
მელბურნში და ჰავანაში, მილანსა და ვაშინგტონში.

სადაც ქართულ ცეკვის ეშხით, ია-ვარდი გისროლიათ,  
ქართულ ხმლებით გინერიათ, საქართველოს ისტორია...  
„ვინ შეამკოს ღირსეულად, ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?“  
საგასტროლოდ გელოდებათ, მზე, მთვარე და ვარსკვლავები...

დაე, ნინომ და ილიკომ, კვლავ სამშობლო ასახელონ,  
სამშვიდობო მზის სხივებით, მტრის ღრუბლები გადათელონ,  
გაგიმარჯოს, სანაქებო, შუბლნათელო, აზრნათელო,  
თვალნათელო, სანატრელო, საყვარელო საქართველო!



„მღბტყსა სბლია კეთილმან“

„სცენაზე შიმღდიან საუცხლთ პლსციეიმში შიმღსი-  
ლი ნესცანი და თინათინი-ულამაზესი ასულენი.

პატციტი სულგანაბული შიპყტრეს თენგიზ ჟთ-  
მელიბის ცატიულს. აი, მან მღითათმბიტა მფტრე გმბიტ-  
თან-აჟთანდილთან (თენგიზ სუქიშვილი), ტრბდღნის  
ბღლი მინდღმბილი აქეს ტრბდღნ სულაბჭრბიბეს... და  
თუ ამ სამ გმბიტს დაჟჟმაცივბთ ნესცან-დაბჭუანის  
(ლაცაჟრა ტუჩიანი) ნატნატ სიკუკლუცეს, თინათინის  
(ნინღ კიტჯალიბე) ლჟთაგბრბიჟ ჰაგბტჟნგბმას და ასმა-  
თის (მანანა აბაჯაბე) მღმსიბჟლღღმბას, გასაგვბი  
გასდღმა, ბაცღმ ჩაასშღ მუქსიკა ცაშის გბიაღმა...

„ღაჯუთის ცისის აღემბით“ ანსამბღმა ინგლისელ  
მაყტრბღლთა დაბბაჟი აიღღ... ეს იყღ სბრული სენსა-  
ცია, სბრული ცბრბიბეი“.

ამონარიღი ქართლოს კასრადის წიგნიდან

„ტრბუმფით მსოფლის გზებზე“





მან მბიძი





იამზა დოლაბერიძე

### იამზე დოლაბერიძეს

შენ მინიერი არცა ხარ ქალი,  
მთვარის სხივიდან გძერწა გამჩენმა,  
მგონია, მართლა შეცდომა არის  
შენი მინაზე ქალად დარჩენა.  
შენს სინატიფეს განგება მართავს,  
ნესტანის კდემას იმგვარად შვენი,  
გაგაუკვდავა მხატვარმა მართლაც,  
როცა დახატა მშვენიება შენი.  
შენი ბუნება მოერგო ნესტანს,  
ვისთვისაც ველად გაიჭრა მოყმე,  
სულ სხვა პოეტმა შეიძლოს ნეტავ,  
შენზე სულ ახალ ლეგენდას მოჰყვეს.  
შენზე უფლისწულს ელოცა უნდა,  
დაამშვენებდი დედოფლის სახელს,  
და წამიერი ღიმილი თუნდაც,  
გააოცებდა ყველა შენს მნახველს.  
სცენაზე ხარ და მზე თუ მგონიხარ,  
მკლავებს გაშლი და მგონიხარ ელვა,  
ნეტავ ვიცოდე, ვისი გორის ხარ,  
ვისი ოცნება და ვისი ღელვა.  
მინიერი რომ არ ხარ, ვიცი,  
მინაზე გარგეს თუმცა დარჩენა,  
შენს სილამაზეს, სიარულს, სიცილს,  
უცხო რამ ფერი მისცა გამჩენმა.  
მე კი კვლავ შენით ვამაყობ ახლა  
და ქერუბიმი მგონიხარ ნაზი,  
სულში უსაზღვრო სიკეთე გახლავს,  
შუბლზე ღვთიური ნათელი გაზის.

იონა ბადავიძე (ბი-ბადავი) -  
ასირიელი პოეტი

## ცეკვის ზერია

*(გუძღვნი ქართული ცეკვის დიდოსტატს  
ქალბატონ ნინო რამიშვილს)*

სევდანარევი ღიმილი გაკრავთ,  
გულს ჩაგსახვიათ მაღლიერება,  
ნაყოფიერი, კეთილი გარჯა,  
დაუჭკნობელი მშვენიერება.

როცა შევეყურებ ცეკვებს ძარღვიანს,  
თითქოს სიამით გვატკობს ხმა მიწის,  
უმალ ამჟღავნებს ქართულ ხასიათს,  
წუთით გვიყურებს მონოლილ ტკივილს.

თქვენი ამაგი ქართულ ცეკვაში,  
ზომაზე უფრო ბევრად ბევრია,  
არაქართველნიც აღტაცებულნი,  
ბევრჯერ ვყოფილვართ ცეკვის ფერიავ.

თქვენ, ცეცხლოვანი ცეკვის მანერა  
სიყმაწვილიდან გდევთ რელიქვიად,  
ქართული ცეკვის ალაჟვარდება  
გულს ეფინება ალალ ვარდებად.

### ქართული ცეკვა

თუ მართლა ხანძრის ნახვა გენებოთ,  
უნდა იხილოთ ცეკვა ქართული,  
როგორ როკავენ ცეცხლის ენები,  
ცეცხლის ენები ჯადოდართული.

ვაჟებს ნამდვილად რკინის გული აქვთ,  
ნამონთებიათ ელვად თვალები,  
მზეთუნახავენს ჰგვანან სრულიად,  
როცა ცეკვავენ ალვისტანები.

გაინკრიალებს როს სატევარი,  
ნაპერნკლებს გაყრის ცინცხალ თვალებას,  
თუ ვაჟკაცი ხარ, შეავლე თვალი,  
მის გაბრწყინებას და ელვარებას.

ერთი გაფრენით, სხვაზე მეტია,  
ვაჟი გულადი, როგორც არწივი,  
ქალიშვილი კი თითქოს გედია,  
თავნება ზვირთით გადანანევრი.

ქართული ცეკვა ჯადოქრობაა,  
და ჭეშმარიტი დღესასწაული,  
ცეკვა კი არა ხალხის სულია,  
ერის სიმდიდრე და სანყაული.

### „კონცერტი“

„ამაყ სახეებს მომავალთან მოელით შეყრა,  
ცეკვის ხალისი ტალღებით აღწევს თალამდე,  
სხვა არაფერი აღარ მინდა ამ ცოდვილ ქვეყნად,  
ოღონდ მთლიან და თავისუფალ მამულს ვნახავდე.  
ნელა ნათდება,  
თავს ცისკარი წყვდიადში იჩენს,  
და ირგვლივ სივრცეც ტყვიასავით აღარ მძიმდება,  
როცა ვუცქერი ამ პატარა ჩოხოსან ბიჭებს,  
ჩემი მამული, მჯერა, კვლავაც აღორძინდება!“

*(ეს პატარა ლექსი-ეპქსრომტი დაინერა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოსწავლეთა სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების ნორჩ მოცეკვავეთა მიერ ცეცხლოვანი ქართული ცეკვების ვირტუოზულად შესრულების შემდეგ).*

### გივი სიხარულიძე

#### მის აღმატებულებას – ქართულ ცეკვას

მთის არწივი რომ ზეცას ხაზავს ვნებააშლილი,  
იმას მაგონებს ვაჟისაგან ხელი გაშლილი.  
რა ილეთები, რა ტანის რხევა, ჩახვეული,  
გადანასკვული,  
ქართული ცეკვა, მჩქეფარე, როგორც  
ალადასტური.  
არ დაიჯერო, რომ ცეკვაში, მთავარია  
ფეხი გასმული.  
მოკრძალებათა ქალის მიმართ გონსგადასული.  
როკვის დროს ქალი ვაჟისაგან  
ღმერთად აღქმული.

## ლექსები ექსპრომტად

### *ნინო რამიშვილს და ილიკო სუხიშვილს*

ქართულ სცენას შენი ეშხი  
ულამაზეს იერს ფენდა,  
ქალურ მხრებით მოიტანე  
საქართველოს ძლიერება.  
და სხეულის ყველა ნაკვთი  
მეტყველებდა, წერდა, თრთოდა,  
თითქოს მთელი დედამინა  
ნაზი მხრებით თან დაგქონდა.  
მწველ თვალეში ცეცხლი გენტო,  
ატყვევებდი მტერ-მოყვარეს,  
ხმალი ბევრჯერ მოგვიქნიეს,  
მაგრამ წელში ვერ მოგვხარეს.  
ვარსკვლავად დაბადებული  
ზეციური ცამ იშვილოს,  
მოგვევლინე საოცრებად  
ჩვენო ნინო რამიშვილო!  
კარგ კაცსა და რაინდს მუდამ  
ერთი არა, უხვი შვილობს,  
ჯადოსნურო მენყვილეო,  
დიდო ილო სუხიშვილო!  
ეს რა ფენომენი გვყავდა,  
თქვენი სახით დღესაც ვერ ვხსნით,  
საქართველოს ბერმუხა ხართ  
და ქართული ცეკვის ფესვი!

### *თენგიზ უთმელიძეს*

თითქოს ფეხის ნვერებზე  
მწველმა მზემ აინია,  
მზერამ გამაოგნა და  
დუელში გამიწვია.  
რა ნატიფი ნაკვთები,  
რა ხიბლი და რა ეშხი,  
ცერს შემდგარა მიმინო  
სათვალღვით თავს გვესხმის.  
ქართველი ძე ძლიერობს,  
ან ვინ ნაშლის ამ იერს,  
როგორ არ მოგეფერო,  
ჩვენი დროის ტარიელს!  
ვინ იცის დაგვიბრუნდეს  
ის სინმინდე ეგებ და  
კაცი — ცეკვა, მუსიკა,  
კაცი — ლექსი, ლეგენდა!  
შენი ნიჭიერება  
საამური, მთებური,  
არის დაფასებული,  
ყველასაგან ქებული.  
...ისე ანითლებულა  
გააწნეს სილა მას, მზეს,  
ჩემი დიდი თაყვანი  
შენს ნიჭს და სილამაზეს!

### *ფრიდონ სულაბერიძეს*

გვახსოვს შენი ცერზე დგომა,  
მზერა არწივისებრ ხარბი,  
დროს ვერაფრით შეაჩერებ,  
უნდოა და ჩქარა გარბის.  
დღესაც ისევ ისე ფასობს,  
გაუხუნარია წლები  
და ისტორია შექმენი  
ცერს შემდგარმა ამაყ მხრებით.  
ახლა გვერდით რომ ჩაგივლით  
სიტყვას გეტყვით მართალს, თამამს,  
თვალს შეგავლებთ სიამაყით  
ცეკვის ლამაზ მხედართმთავარს!  
ხალხის გულში დაივანე,  
ანთებული იმ დროს ვნატრობთ,  
მოარული ლეგენდა ხარ,  
ქართულ ცეკვის დიდოსტატო!

### *იამზე დოლაბერიძეს*

ყელი მოიღერა გედმა,  
სხივად მოეფინა მიწას,  
ჯადოსნურმა სილამაზემ,  
შესძრა მთელი დედამიწა.  
მოშრიალე წმინდა მანდილს  
რა ძალა და ხიბლი ჰქონდა,  
სცენაზე იწერებოდა,  
ქართველ ქალის ხოტბა, ოდა!  
გულის შუქი ელვარებდა,  
მოსდებოდა არე-მარეს,  
და დაეპყრო ვაჟის გული,  
ანთებულ და მტყველ თვალებს.  
თვით მტერსაც კი უკან ხევდა,  
ვერ უძლებდა ვერა, ამ მზეს,  
ისე მოაჯადოვებდა  
ეგ უზადო სილამაზე.  
ქალი სავსე მთვარის მსგავსი,  
მონარნარე, მწველი ერთობ,  
რა ხიბლი და ეშხი ჰქონდა,  
რა ლამაზი იყო, ღმერთო!  
დღესაც ისევ ისე ფასობ,  
არ ჩამქრალხარ მწველო ალო,  
მონარნარე თეთრო გედო,  
ქართულ ცეკვის დედოფალო!

### *ომარ მხეიძეს*

ხელს გაშლი და სამყაროს  
დაგვიხატავ ლამაზად,  
როგორც ცერზე შემდგარი  
ცეცხლოვანი ავაზა!  
შურდულივით დაჰქრი და  
ელვასავით ელავს დღე,  
მუდამ მოფუსფუსე და  
საქმიანი, ენამზე.  
დახვეწილი მანერა,  
მიხვრა-მოხვრა მთებური,  
გაგიმარჯოს მოყვასო  
დალოცვილი მზე-გულით!  
ისევ ისე ამინდობ,  
კაცო, სამაგალითო,  
ცეკვის ჯადოქარო და  
მბრწყინავო მარგალიტო!  
გული არ გიბერდება,  
კვლავ ხმაურობ მხნედ ისევ,  
საქართველოს საუნჯევ,  
ლომო, ომარ მხეიძევ!



## ექსპრომტი

*თენგიზ უთმელიძეს*

გაოგნებული მნახველი,  
ოვაციები და ტაში,  
შორს გაუტანეთ სახელი,  
ქართველ ერს ცეკვა-თამაშით.

ცერზე შემდგარი ავაზა,  
თენგიზ, ომარი, ფრიდონი,  
ნინო, იამზე, ლატავრა,  
ფარიკაობა ხრიდოლით.

დრო ულმობელი რამ არის,  
ახალგაზრდობა გაფრინდა,  
დიდია თქვენი ამაგი,  
იმ რენესანსში ნამდვილად!



ომარ მხეიკია, ფრიდონ სულაბარიკია და თენგიზ უთმელიძე







იამზე დოლაბერიძე და დავით ბასილაშვილი



თენგიზ სუნიშვილი



თამაზ კიკალიშვილი







„ჰგონებ: მშით მთვრალურს  
განზე ბეღაუტრები უცდიან.  
სეღაჲ: ახლცეზიან, მიაგელჲებუნ,  
მინაჲატლტბუნ, ყიჲინი, სიჲილი.



სქდაგ: უფსკრულუბიკუნ  
გატრნილთ უზანგუბიდან!  
რთთი მბბამჟა და უფსკრულს თაჟს  
უკლუბიან ჳითარ ნადირ-ღმურთუბი!“

*გრიგულ ტბმადიბე*

## სამაია

სამი ქალი სამას სამობს,  
არის სამის სამაია,  
გული ამოფრენას ლამობს,  
ქარს მიქროლებს დარაია.

სამი ციხე ატორტმანდა,  
არის რჩევა სამთა ტანთა,  
სამი ქალი სამას სამობს,  
სამის სამა რავარია,

სამში მეფის ხილვას ვლამობ,  
ის მესამე თამარია...  
ექვსი ხელი ზეცას შესთხოვს  
სამის ლოცვა რავარია.

ამიხილე თვალი ღმერთო,  
ის მესამე თამარია,  
თამარ საფლავდაკარგულო,  
თამარ, კალთადაკარგულო,

გულო, დადექ, დადაგულო,  
სამი ქალის სამაიავე,  
დაიწუნებ სამთა განა  
თმაკავიანს, დალალიანს,  
წელს სინაზით ტყდება ალვა  
მგონი სამი თამარია...

სამი ქალი სამას სამობს,  
არის სამის სამაია,  
გული ამოფრენას ლამობს,  
ქარს მიქროლებს დარაია.



ნელი ხაჭოშია, ნინო კირვალიძე, სოფიკო იაშვილი

### ტ რ ი უ მ ფ ი

ქმედება ანსამბლის „ლა-სკალაში“ გამოსვლის 45 წლისთავს

ილიკოსა და ნინოს ლეგენდა,  
ცერზე შემდგარი სამეაროს უფლის,  
მანდილითა და ხმლით შეფიცულებს,  
თანა სდევთ მადლი და ლოცვა უფლის.

„სამიას“ და „დავლურის“ მწერით,  
როს გაირინდა მთელი დარბაზი,  
მე გამახსენდა სვეტიცხოველი,  
ჩემი მცნეთა და ჩემი არმაზი.

სახელგანთქმულნი, როკვის ოსტატნი,  
ბევრგან შერაცხეს ცეკვის ვარსკვლავად,  
მაგრამ წინ რთული გამოცდა ელით,  
მათ ხომ მასწავლებლობს დიდი „ლა-სკალა“.

სცენაზე მოსჩქეფს უხადო ხიბლი,  
შნოს და ლაზათის მძლავრი ნაკადი,  
ვირტუოზული, თავბრუდამხვევი,  
ცეკვის ილეთთა უხვი კასკადი.

„ლა-სკალას“ ანსოვს კორიფეების,  
სულისშემძვრელი ხმები ხალასი,  
კარუსო, ჯილი, მონაკო, ლანცა,  
ლეგენდარული ქალი – კალასი.

დაჭკრიან ისე, ვით ჯადოქარნი,  
ისმის ყიყინი, კლრიალი ხმალთა,  
რანდთა შმაგი მხიარულება,  
და სინარნარე ღვთაებრივ ქალთა.

აქ დღესაც ისმის, ახლაც ტრიალებს,  
გზნებით აღვსილი ფეთქვა გულებს,  
ვერდის, ზუზინის, ლეონკავალოს,  
და სხვა ტიტანთა დიდი სულები.

ანსამბლი ქვეყნის დიდ ისტორიას,  
თვალისმომჭრელი ცეკვებით ქარგავს,  
გაოგნებული მაყურებელი,  
წონასწორობას თანდათან კარგავს.

ეს ციტადელი – მუსიკის მექა,  
ზღაპრულ ტრიუმფებს როცა მოესწრო,  
ტოსკანინია მათი ავტორი,  
გენიალური, მკაცრი მაესტრო.

და, ჰა, იწეება მროკავთ „შეჯიბრი“,  
ცერზე სრბოლაში, მუხლზე ტრიალში,  
მრავლისმნახველი „ლა-სკალას“ ჭკერი,  
ლამის გაიზო ტაშის გრიალში.

მშვენიერების აქ მოსაფენად,  
ქართული ჯიშის გიზგიზებს ცეცხლი,  
ქალ-ვაჟთა ლაღი შენავარდება,  
არწივთ ირაო, გაფრენა მერცხლის.

ფეხზე ამდგარი გრგვინავს დარბაზი,  
„ბისა“ და „ბრაუო“ არ უჩანს ბოლო,  
ფარდა იხსნება ისევ და ისევ,  
ცეკვას ცვლის ცეკვა, და სოლო-სოლო.

„ფარცა“, „სორუმი“ და „ხევსურული“,  
„ძველი თბილისი“ და „მუხამბაზი“,  
თვალწინ ცოცხლდება ერის წარსული,  
მარად უკვდავი, ასე ლამაზი.

არასდროს თვალთ რომ არ ენახათ,  
მათ აქ იხილეს ეს სასწაული,  
ქართული გენის გამობრწყინება,  
ქართული სულის დღესასწაული.

ლატავრას ქროლვა კდემით მოსილი,  
როკვის გვირგვინი – ჩვენი „ქართული“,  
ფრიდონის გასმა სწორუზავარი,  
განსაცარი და შეძარბული.

ილიკოსა და ნინოს ლეგენდა,  
ქვეყნიერებას ტრიუმფით უფლის,  
მანდილითა და ხმლით შეფიცულებს,  
თავს ადგათ მადლი და ლოცვა უფლის.



**Alhambra**  
 MAURICE CHEVALIER  
 A PARTIR DU 9 MARS  
**LE BALLET SOVIETIQUE CAUCASIEN**  
 ENSEMBLE OFFICIELLES DE GEORGIE  
 M. NINO RAMICHVILI  
 M. ILIKO-SOUKHICHVILI  
**100 artistes**

**Georgian State Dance Company**  
**HIS MAJESTY'S**  
 Comm. Mar. Aug. 26 - 8 1951

**BALLETS GEORGIENS**  
**Alhambra**  
**BALLET SOVIETIQUE CAUCASIEN**

**BALLET GEORGIEN**

**KRATIKVA XODIETI GEORGIAN BALLET**

**BALLET SOVIETIQUE CAUCASIEN**

**ANSAMBLUL DE S. DE-DANSURI POPUL. R. S. S. GEORGIAN**

**TOU TO MUSICO**

**BALLET SOVIETIQUE CAUCASIEN**

**BALLET SOVIETIQUE CAUCASIEN**

**ANSAMBLUL DE S. DE-DANSURI POPUL. R. S. S. GEORGIAN**

**DE GEORGIENS**

**100**

**Georgian Volkstanz-Ensemble**

**THE EXT**

ტრუფაზა ტოკაბი — ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი



## ხორუმი

მოგვიხდნენ?! რათაო! — და სუნთქვა გაჭირდა  
 ის საით გათავდა, შენ საით დაჭრილხარ?  
 სად შეხვდი ბედსვიანს, სთქვი ბიჭო ვინა ხარ?!  
 ვაჟი ხარ, კვესი ხარ, გულში რომ მიახალ.  
 გიკოცნი შავ ქოჩორს, გიკოცნი მაჭახელს  
 საით სურთ გვაჩოჩონ? ნავიდეთ გვანახე.  
 შენი თუ არ ეყო, მიიღოს ჩვენიცა  
 არავის გავუყოთ მიწა თუ ჩვენი ცა...  
 ცოდო ხარ დაღლილი, მუხლებში ჩაგინვენთ,  
 მაჭარო დაღვინდი, და ცამდე აინევ...  
 გავმაგრდეთ ფხიანად, გაჰყვება ჯიში ქარს,  
 არ ვიცი, ხმიანად მე ქება ვისი ვთქვა:  
 შიგ გულში აძგერე, ხანჯალი ამ ოხერთ,  
 განა ჩვენ დაგვძლევენ, გულს ბრძოლით ვიოხებთ.  
 ჩავბეროთ ჩვენ ქურებს, ჩავბეროთ ნალვერდალს,  
 არ ვნახოთ ჩვენს მთებში სინსილა გაღმელთა.  
 შევუხვევთ ჭრილობებს მამაცს, ცხვარს დავუკლავთ,  
 ჩავბეროთ ჭიბონებს და ბრძოლის დავუკრათ.  
 ჩავბეროთ ჭიბონებს, ჩავბეროთ ჭიბონებს.  
 განა დღეს ისა ვარ, განა დღეს ვართ ერთად  
 მღტოლველი მზისადა, მე ჟამმა მქნა ღმერთად,  
 რითაც ვარ უხრწნელი, — ფერი არ გვეცვალა  
 იმ წმიდათ დამცველი მეც ვიყავ, მეცა ვარ.  
 წმინდაო ადგილნო, სულნი შენ გეტრფიან,  
 ღვთის ტოლი, მზის ტოლი, მამული ერთია,  
 მოდით და ვილხინოთ, რის ჯვარი, რა მთვარე?!  
 ვეტრფოდეთ ღიღინით ამ ცას და ამ მთა-ველს.  
 მინდა რომ ვცეკვობდე, მინდა რომ ვგალობდე,  
 დოღს დაჰკაროთ ცელქებო, მინდა რომ ვლალობდე.  
 დოღს დაჰკაროთ ცელქებო, სალხინოდ გამოველ.  
 ავუდგათ ენები ჩანგებს და ჭიბონებს,  
 თუნდაც ნუ ვახსენებთ ძველ დარდს და ჭრილობებს.  
 სადა ხართ ბიჭებო, ისევ აქ მოგელით,  
 ნაომარ მინდორზე მე ვეფხის ბოკვერი,  
 სადა ხართ დედანო, მე თქვენს წინ ვიჩოქებ...  
 თქვენით გვაქვს სიცოცხლე, სიბრძნე და სიმწიფე.  
 და ამათ ვადიდებთ ცისა და მიწის ფერს,  
 თქვენს ნახვას ვინდომებ, თქვენ გეტყვით ხვაშიადს...  
 სისხლიან მინდორზე ლოტოსი გაშლილა,  
 თავთავი მინდორი,  
 ამაღლდი მზის ქერო,  
 სხვა რაღა ვინდომო,  
 ხორუმი, ბიჭებო,  
 ხორუმი, ხორუმი.

## თანგი უთელიძეს

სილამაზეს არ გაუდის ვადა –  
ასეთია უმაღლესი ნება,  
მოისმინე – მართალი და სადა –  
ქალისაგან მამაკაცის ქება:

რა ვქნა, თუკი ვძველმოდურობ ჯერაც  
და მინაზე ვარსკვლავების არ მწამს,  
მთლად დიდ ცარგვალს შემოვავლო მზერა, -  
ვერ ვიპოვნი შენებრ ლამაზ ვარსკვლავს.

ვერც ვერაფერს მივამატებ თითქოს,  
რაც ჩემამდე უთვალავჯერ ითქვა, -  
ლიმილსა და გულწრფელობას ითხოვს  
თბილ სიტყვაში გასაცვლელი სიტყვა.

სასაჩუქრე სიტყვის მე ვარ მთქმელი,  
(თუმც, მრავლად გაქვს საჩუქარი უფლის):  
ალალ, შენზე, ეგ ჯიში და გენი,  
ეგ ლაზათი სხეულის და სულის!

რანდობას არ გაუდის ვადა –  
ასეთია უმაღლესი ნება,  
მიჩუქნია - მართალი და სადა –  
ქალისაგან მამაკაცის ქება...

## ომარ მხეიძეს

შევყურებ სურათს, წარსულში ნახატს  
(ამ ლამაზ სურათს ხსოვნა შეიძენს), -  
“სუხიშვილების” დიდ აფიშაზე  
ცაში აფრენილ ომარ მხეიძეს.

ის უნაპირო ჟინი და ცეცხლი,  
სადაც დატოვე, ისევ იქ არი,  
მარეკებისგან დამფრთხალ ჯეირანს  
სუნთქვას აურევს შენი გრიგალი.

ვის არ ანუხებს კითხვა მარადი –  
რისთვის და რატომ ამქვეყნად ვიშვით?..  
პასუხი იცი – ცეკვავ თავადი,  
დიდგვაროვანი სისხლით და ჯიშით.

ეს კადნიერი თხოვნა და ფიქრი  
ვით შემოგბედო და ვით გაგანდო? –  
ნუ შეჩერდები, ნუ შეჩერდები,  
ნუ შეაჩერებ ცეკვას, თავადო!..

შევყურებ სურათს, წარსულში ნახატს  
(ამ ლამაზ სურათს ხსოვნა შეიძენს), -  
ქართული ცეკვის სამარკო ნიშანს –  
ომარ მხეიძეს.



„ეს ცეკვა ქართულია,  
ქართულის გატღა,



მას სსფა ჟღერაჲინ იცუკჟებს  
ტასსა ატ რყლთა“

გრიგოლ ტაბაძიძე



რუსუდან ჭრიკიშვილი და ნუგზარ ჯიქური

### ცეკვა „ქართული“

სად გარბიხარ... ბიჭი მაინც დაგენევა,  
მაგ გოგმანით შორს ვერ წახვალ იცოდე.  
ქალს მაზანდა მაშინ უფრო აგენევა,  
როცა გინდა ტრფობის ალში იწვოდე.

ისიც, ხედავ? — როგორ მოგდეეს, სიყვარულით  
ისე როკავს, თითქოს მართლა დაფრინავს.  
ის ცეცხლი აქვს შავ თვალეებში მიმალული,  
მოპარვა რომ მოანდომა ამირანს.

რა ვქნა, ჩემთვის ეს ცეკვაა საქართველო,  
ალბათ სწორედ მიტომ ჰქვია ქართული.  
ჩვენ სიცოცხლე თქვენით უნდა ვასახელოთ,  
იმ გენს ვლოცავ ახლა ალადასტურით,

სადაც ცეკვით იწერება ისტორია  
და ტაშს გვიკრავს ფეზე მდგარი მსოფლიო.  
უფალს შევთხოვ, ეს ღმერთების მისტერია  
ჩვენს მიწაზე არასდროს გამოლიოს.



### ექსკურსია ქველ ციხესთან

სვამდნენ წმინდა ალადასტურს, სვამდნენ ვაზის წვენს ოდენ,  
მეთერთმეტე საუკუნეს მეოცედან სწვეოდნენ.  
ენტო ცირა, კოცონივით, ათასი წლის ძელქვასთან,  
ტკარცალებდა თვალმცეცხლია და ცეკვავდა, ცეკვავდა.  
ტრიალებდნენ ტურისტები როკენროლში ქარივით,  
(ტანმა მიგრძნო, ცახცახებდა ციხე ამბოკარივით)...  
და როდესაც შეაზვავდა დარბაზს ჩვენი დავლური,  
გამოვვარდი, დავუარე, დავაჩორთე ალური,  
გავინვიე და ცერებმაც ნაპერწკლები გაფანტეს.  
ბაცანკალა მროკავებმა აიგუდანაბადეს,  
გადგნენ განზე, დასცხეს ტაში, შურითაც და გულითაც,  
გლეჯდა კედლებს ჩვენი დოლი, ბეჭაიებს უვლიდა,  
მაგრამ, ვაი, ჩვენებური არ სცოდნია კოპნიას,  
იმ ძუძუებკუნძულას და იმ წიოკა კოცნიას,  
თურმე, გული რა ყოფილა, როგორ ჩაგეფინლება, —  
ვდგავარ და ვგრძნობ: სისხლის ნაცვლად სიყვარულით იცლება,  
დასცხეთ მაგ დოლს! ნუ აჩუმებთ!  
დასცხეთ! კიდევ! თავიდან!  
რომ შევაკვდე მე ამ ცეკვას, ჩემსას მაინც გავიტან!  
ვინმე როგორ არ გამოვა მედავლურე-მეცერე?  
ქართულს ვცეკვავ! მარტო ვცეკვავ!  
ქართველებო, მეცეკვეთ!

### ვისაც შენი განდაგანა...

*ენვერ ხაბაძეს*

ვისაც შენი განდაგანა ან ხორუმი უნახავს,  
ვინც არ უნდა იყოს იგი, ცეკვის გახდის უნახავს.  
ხალხის გულში გიკრეფია, შარა-შარა, გზა და გზა,  
ეს ამდენი მარგალიტი, ჩვენ რომ გაგვალამაზა.  
ეს შენ ჩვენი ხალხის ნიჭი გაგიშლია აფრებად.  
სხვა რომ არა, ესეც კმარა მითებად და ზღაპრებად.  
ეს შენ კლდეზე გაფრენილხარ ვეფხვის მარდი ფეხებით,  
დედამინა მოგივლია ცერის ერთი შეხებით.  
დაგიპყრია ყველა გული ცეცხლითა და ფიქრითა  
ტაშის ქარი მოგვიხვეტავს აქ და... ცხრა მთს იქითაც.  
იქნებ ჩანჩქერს,  
იქნებ ზვავებს,  
იქნებ ქარებს ნაბაძე  
ეს ამდენი ჯადოსნობა, ძმაო, ენვერ ხაბაძე.  
ვისაც შენი განდაგანა და ხორუმი უნახავს,  
ვინც არ უნდა იყოს იგი,  
ცეკვის გახდის უნახავს,  
შენ ამ ცეკვით ვის ღიმილი  
ვის ცრემლები ადინე  
ამიტომაც საქართველოს გული მოინადირე.



ნანა მუქერია, რუსუდან ჭრიკიშვილი და მანია ისაკაძე



ვლადიმერ ფილიშვილი



იამზე დოლაბერიძე და ფრიდონ სულაბერიძე

## ბანდაბანა

ცეკვავს მთა და ცეკვავს ბარი,  
ყველა ცეკვამ აიტანა,  
აბა, ვის არ ააცეკვებს  
მზე და დარი ამისთნა.

რეკავს გული, როგორც დოლი  
და უმატებს ძგერას თანაც,  
არ იღლება მეჭიბონე  
მოხვენილი თვალად ტანად.

წრეში ბიჭი შემოიჭრა,  
ბიჭი უნდა ამისთანა,  
აგერ გოგოც გამოგოგდა,  
გოგო უნდა ამისთნა.

ბიჭი მარდად გამოუდგა,  
განზე გადგა ალვისტანა,  
მერე ისევ გატრიალდა  
ბიჭს ღიმილი გაატანა.

გნოლს მიმინო დაედევნა,  
გაექცევა სადმე განა?  
ტაში, ტაში, ტაში, ტაში,  
განდაგანა, განდაგანა.



## ქართული ცეკვა

*ექსპრომტად ვუძღვნი თ.უთმელიძეს*

ჰაერში აჭრილი  
ქორივით,  
ბრძოლებში ხმალდახმალ  
ჩართული,  
გოგონას გოგმანი -  
გნოლივით,  
შეხედეთ, —  
ცეკვაა ქართული.  
იერი კოლხის თუ  
იბერის,  
და თავის განწირვა  
ართქმული,  
მტერს ბრძოლის ველიდან  
მიდენის  
შეხედეთ,  
ცეკვაა ქართული.  
წარმართის შუბლივით  
ამაყი  
ზღაპარი, არაკად  
ართქმული,  
ვაჟკაცს რომ ტანს ჟრჟოლას  
დაგაყრის,  
შეხედეთ,  
ცეკვაა ქართული!..



ლათავრა ფორიანი



ფრიდონ სულაგერიძე და შოთა ხოფერიძე



გიგო ბერაძე, ნინო რამიშვილი და იასონ ზედაზიძე



ლატავრა ფორიანი და თენგიზ უთხელიძე



ინგა თევზაძე და თენგიზ სუნიშვილი



ნინო რამიშვილი



რუსუდან ჭრიკიშვილი



გულიკო ნიჟარაძე



მანანა აბაზაძე, ლატავრა ფოჩიანი, სოფიკო იაშვილი და გულიკო ნიქარაძე



თამაზ კიკალიშვილი



თენგიზ უთმელიძე და ლატავრა ფორიანი



ფრიდონ სულაბერიძე



თენგიზ უთმელიძე



სოფიკო იაშვილი
















მანანა აბაშიანი



თინათინა უთხელოძე

## „ნახეს და ნახვა მოუხდათ...“

„ქართული ანსამბლის ცეკვები მოწმობს ძველ, თაობიდან-თაობაზე გარდამავალ კულტურას და არისტოკრატიულ დახვეწილობას. ნუთუ მთელი ეს ერი, მცხოვრები კავკასიონის მაღალი მწვერვალებზე და სუბტროპიკულ ველებზე, მთლიანად არისტოკრატებისგან შედგება. რაოდენი კეთილშობილება, უბრალოება და ღირსება, თავდაჭერა და მომხიბვლელიობაა ამ ქართულ, უბინო ცეკვებში!“

გაზეთი „ნიუა პრესენ“ — ფინეთი.  
1948 წ. ქ. ჰელსინკი.

•

„არც ერთ ენას არ ძალუძს იმის აღწერა, რაც ქართულმა ბალეტმა გვიჩვენა ვენის „კონცერტჰაუზში“.

ავსტრია. ქ.ვენა — 1962 წ.

•

„ჩვენი გასტროლიორები საუკეთესო დასია მთელს მსოფლიოში... ჩვენთვის, ბერძნებისათვის, ეს სტიმულია საკუთარი ქორეოგრაფიის შემდგომი წინსვლისათვის“.

გაზეთი „აპოგემატინი“, ქ.ათენი, 1964 წ.

•

„ქართული ბალეტი — რიტმის დღესასწაულია... ესაა ულამაზესი და სრულყოფილი სპექტაკლი, მასში განსაკუთრებით კარგადაა შერწყმული ეროვნული კოლორიტი და ცეკვის მახვილგონივრული ენა“.

გაზეთი „ლა მანიანა“, პერუ, ქ. ლიმა, 1964 წ.

•

„ქართული ცეკვა ცოცხალი მემკვიდრეა საქართველოს ისტორიისა... სპექტაკლი გვამცნობს ქართული ხელოვნების წყაროთა სათავეებს“.

გაზეთი „ევროპა“, პერუ, ლიმა, 1964 წ.

•

„საცეკვაო გამომსახველობის თვალსაზრისით შესაძლოა ეს იყოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ანსამბლი“.

გაზ. „ფიგარო“, პარიზი, 1965 წ.

●

„ესაა მსოფლიოში განთქმული დასი — დიდი ქართული ბალეტი“.

გაზ. „ესპუარ დე ნის“, პარიზი, 1965 წ.

●

„მაღალი, კოხტა, ვაჟკაცური მამაკაცები ასრულებენ გასაოცარ აკრობატულ ილეთებს, სცენაზე მეტეორივით დაჰქრიან, მუხლებზე ბრუნავენ. ნარნარი ქალები დასრიალებენ ჰაეროვანი, ფაქიზი ელეგანტურობით, რაც სულისშემძვრელ სილამაზეს ქმნის. თუკი სამოთხეში ცეკვა არსებობს — ალბათ სწორედ ასეთი“.

ინგლისი, 1987 წ.

●

„თუ ფრედ ასტერი, როგორც ამბობენ, ამ საუკუნის მოცეკვავეა, მაშინ ქართული ცეკვის თითოეულ მამაკაცს უნდა მიენიჭოს ეს წოდება“.

ინგლისი, 1987 წ.

ალექს ნაულ უოტსონი

●

„სულისშემძვრელი რიტმი აჯადოებს და ენთუზიაზმით ავსებს მაყურებელს. ეს არის ორსაათიანი ჯადოსნური რიტმები. ს.ვირსალადის მიერ შექმნილი სამასამდე კოსტიუმის ფრიალი — ჭეშმარიტი მოგზაურობა კოლხეთის, არგონავტებისა და ოქროს საწმისის ქვეყანაში.“

გაზ. „ლე პუან“, პარიზი, 1988 წ.

●

„...ამ ანსამბლის ხილვისას კიდევ ერთხელ გვახსენდება, რომ ჯორჯ ბალანჩინი ქართველი იყო და რომ ეს არის ერი, რომელსაც ცეკვა სისხლში აქვს გამჯდარი“.

აშშ. გაზ. „ნორთ კაუნთ მეგეზინ“.

ქ.სან-დიეგო, 1988 წ.

●

„სამეფო კარის თეატრ „დე მონეს“ არ ახსოვს ასეთი ტრიუმფი. სტუმრების ხელოვნებამ სრულყოფილებასა და ბრწყინვალეობას მიაღწია. ეს არაჩვეულებრივი კონცერტია, მშვენიერ ქალთ პლასტიკისა და მოძრაობის სრულყოფილება, ცეკვის ფანტასტიკური კონტრასტები“.

გაზეთი „ლიბრ ბელჟიკი“, 1959 წ.

●

„ქართული ნაციონალური ბალეტი ბრწყინვალე და მომხიბვლელი სანახაობაა“.

გაზ. „ელ დიო“ (ბუენოს აირესი). 1964 წ.

●

„ეს კონცერტი არ არის უბრალოდ, დიდებულად გატარებული სალამო, ეს არის ამაღლებული, თითქმის დაუძლეველი ემოციური განცდა“...

გაზ. „სანდერლენდ ექო“ (დიდი ბრიტანეთი), 1966 წ.

●

„ნამდვილი ქარიშხალი სცენაზე“. „ქართული ნაციონალური ბალეტი არის უნიკალური ფენომენი, რომელიც ადამიანმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა ნახოს“.

გაზ. „ფიგარო“ (საფრანგეთი) 1988 წ.

●

„მთელი მსოფლიოს კრიტიკოსები ანსამბლის შესახებ ერთი აზრის არიან: ადამიანის მეტყველებამ შეუძლებელია გამოხატოს ის ალტაცება, რასაც ეს ბრწყინვალე ქართული ანსამბლი იმსახურებს“.

გაზ. „ელ ჯორნო“ (იტალია) 1990

●

„ერთადერთი ნაკლი, რომელიც ამ ანსამბლთან ასოცირდება, ალბათ ის არის, რომ დაუჯერებლად კარგია!“

გაზ. „სტარ ტელეგრაფი“ (აშშ) 2002 წ.

●

„სუხიშვილების ანსამბლი ოდითგანვე გამოირჩეოდა ყოველსმომცველი ხელოვნების პოლიტიკით: ბალეტი, მოდერნიზმი და ფოკლორზე დაფუძნებული ტენდენციები ყოველთვის ჰარმონიულად ერწყმოდა ურთიერთს. დასის სამხატვრო ხელმძღვანელი თენგიზ სუხიშვილი (დამფუძნებელთა ვაჟი) და მთავარი ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი უმცროსი (დამფუძნებლის შვილიშვილი) ამ პოლიტიკის ნარმატებებს ინარჩუნებენ და საოცარ შედეგებს აღწევენ.“

„ვოის ოფ დენს“ (აშშ) 2002 წ.

- „ისინი პირველები არიან, საუკეთესონი და დიდებულნი“.

კლაიფ ბარნსი — „ნიუ იორკ პოსტი“ (აშშ) 1990 წ.

- „ძნელია მსოფლიოში მოიძებნოს ანსამბლი, რომელიც ენერგიითა და სიცოცხლის ჩქეფით ქართულ ანსამბლს გაუტოლდება.“

იასონ გაგლარდი, „ურიერი მეილი“ ბრისბენი (ავსტრალია) 1990 წ.

- „სცენაზე არიან მსოფლიოს უდიდესი მოცეკვავეები“.

„ვაშინგტონ პოსტი“ (აშშ) 2002

- „ესაა მსოფლიოში განთქმული დასი — დიდი ქართული ბალეტი“.

„ესპუარ დენის“ (საფრანგეთი) 1965

- „ცოტა რამ თუ მოიძებნება ამ ქვეყანაზე, რომელიც ამ მომცინარ და ციბრუტივით მოტრიალე ქართველებთან შედარებას შეძლებს“.

ლუიზა კონგი „დეილი მეილი“. ლონდონი, 1991 წ.

- ელენე ჩერქეზიშვილი (ელი ჩეროვა)  
უცხოეთში მოღვაწე პირველი ქართველი მოცეკვავე ქალი.

„ქართული“ რომ იცეკვო, საქართველოს ჰაერით უნდა ისუნთქო, ბავშვობიდან ისმინო მისი ჰანგი და სხვა კახური ღვინო. აი, მაშინ იქნება ნამდვილი „ქართული“ - გასაოცარი და განუმეორებელი“

ცეკვა „ქართული“ ისეთი ამაღლებული, სანეტარო და წმინდაა, რომ შეიძლება ვატიკანში, რომის პაპთანაც იცეკვოთ“...

„სანტა მარია დელა გრაციას“ ტაძრის მსახური.

●

„როდენ მშვენიერი, სხივანათელი უნდა იყოს იმ ხალხის სული, რომელმაც შეძლო შექმნა ასეთი აღმაფრთოვანებელია ცეკვა „ქართული“ — თუმცა ეს ცეკვა როდია. ეს ქართველი ხალხის თავისებური ხატებაა“.

პრალა, ჩეხოსლოვაკია, 1968 წ.

●

ელეონორა გვრიტიშვილი

„ცეკვა „ქართული“ — ეს სულის შემძვრელი, ცამდე ამაღლებული, ღმერთთან მისული, ნარნარი როკვა და უხმო სიმფონიაა ქართული სულისა, ქალისადმი ყოვლად წმინდა, კდემით შემკული თაყვანისცემის მამაკაცისა... სხვისი არ ვიცი, მაგრამ როცა ამ ცეკვას ვუყურებ სუნთქვა მეკვრის, გული ყელში მეზჯინება, სიხარულისა და ბედნიერების ცრემლი მდის. ბედნიერებისა იმიტომ, რომ ჩვენი ერის შვილი ვარ, სიხარულისა იმიტომ, რომ მას ხელეწიფება ასეთი სასწაულის შექმნა“.

*ბელა ახმადულინა, პოეტი:*

„ფრენა არასოდეს მყვარებია. თუ ფრენა მიწვედა, ვცდილობდი დამეძინა და ადგილზე ჩაფრენამდე არ გამღვიძებოდა, უარეს შემთხვევაში თავს ვიმძინარებდი ხოლმე. გაგიკვირდებათ, მაგრამ თვითმფრინავიდან დედამინაზეც არ გადმომიხედავს.“

მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ მომინდა გაფრენა, ისე ძალიან, როგორც ბედუინს — უდაბნოში წყალი. ეს იყო მაშინ, როცა პირველად ვნახე ცეკვა „ქართული“.

*ნინო რამიშვილი:*

„არის ცეკვა, რომლის ახლებურად გააზრება კი არა ხელის ხლება არ შეიძლება. „ქართულში ისევეა გაბრწყინებული ჩვენი ხალხის გენია, როგორც შეუდარებელ „ვეფხსა და მოყმეში“, ვერ დააკლებ რამეს, ვერც მოუმატებ“.

*გრიგოლ რობაქიძე: („გველის პერანგიდან“)*

„შორიახლოს უკრავს საზანდარი. ცეკვავენ „ლეკურს“. ლეკს აქ რა უნდა, ეს სახელი შეუსაბამოა. ეს ცეკვა „ქართულია“, მას სხვა ვერავინ იცეკვებს, ვერავინ, ქართველის გარდა, რასსა არ ეყოფა“.

„ქართული ცეკვა მარტოდენ როკვა როდია. ჩვენი ცეკვა ჩვენი დაუმორჩილებელი სულის კვილია, რაინდობაა, ქართველთა ყოფის დრამატული სურათხატია გრაციით გამოხატული. არ ვიცი, სხვა რომელიმე ერის ცეკვა ისე გამოხატავს თუ არა იმ ერის ტემპერამენტს, ეროვნულ ხასიათს, და, თუ გნებავთ ისტორიასაც, როგორც ამას ქართული ცეკვა აკეთებს, ქართულ ცეკვებში ჩვენი ბედნიერება განსხეულებული... ქართული ცეკვა საქართველოს ისეთივე ეროვნული განძია, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ქართული ხალხური სიმღერა...“

რევაზ მიშველაძე

•

გინახავთ, მოლაპარაკე მუნჯი, ყრუ, რომელსაც ესმის?!

ცეკვა უტყვი ისტორიაა ერისა. ქართული ცეკვა იგივე „ქართლის ცხოვრებაა“, პლასტიკის ანბანით გადმოცემული; ეს ანბანი ისეთივე ძველია და იშვიათი, როგორც ქართული დამწერლობა. აქ ყველა სტიქია ერთობლიობაშია მოცემული — ცეცხლი, მიწა, ჰაერი, წყალი და კიდევ რაღაც სხვა — სახელდაურქმეველი.

როცა ქართველი ცეკვავს, დანარჩენი მსოფლიო სუნთქვაშეკრული უცქერის მას და გაოცებასთან ერთად ნოსტალგიაც ეძლევა დაკარგული „პირველსამშობლოს“ გამო, საიდანაც დაიწყო ყველაფერი. ალბათ, ამიტომ გვყავს ამდენი მტერ-მოყვარე; ყველას „სახლში“ უნდა, თავის ფესვებთან... მაგრამ, მამისეული დაპატარავებული სახლი მთელ თავის ნაგრამს უკვე ველარ დაიტევს.

ვახტანგ ლლონტი  
მწერალი

•

„შესდექით! გადავადგოთ შორს ეს ლექსიკონი დიდებული, მყვირალა სიტყვებისა, რადგან ისინი მაინც არ გვეყოფა. ქართველების გამოსვლა იყო ახალი, მაცოცხლებელი ნიავის შემოჭრა მოსაბერებელ გართობათა ფორმალური რუტინის ძველ, დამყაყებულ სამყაროში!

ქ.პიტსბურგი, აშშ. 1960 წ.

•

„თქვენს ცეკვებში ძველი ლეგენდების რომანტიკა იგრძნობა. ეს ცეკვები ყრუ-მუნჯსაც აალაპარაკებს. თქვენი ანსამბლი ლეგენდარულია. მასში არის პოეზიაც და ცეცხლოვანი ვნებაც“.

სარა მონტიელი  
ესპანელი მომღერალი და მსახიობი. მადრიდი, 1972 წ.

•

„თქვენ აჩვენეთ ჩილელ ხალხს საოცრად ლამაზი შერწყმა სინაზისა და ვაჟკაცობისა. თქვენ მოიტანეთ ჩილეში დიდი ხელოვნება, რომელსაც განუზომელი კულტურული მნიშვნელობა აქვს.“

გუსტავო დე ლა ტორე  
„ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელი.  
სანტ-იაგო, 1968 წ.

•

„აკრობატული ილეთები, მოჭარბებული ათლეტიზმი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც თანამედროვე ბალეტი ბევრს აღიზიანებს, თქვენს ცეკვებში საოცრად ბუნებრივი და ორგანულია. მე აღარაფერს ვამბობ ქართველი ქალების გრაციოზულობაზე.“

ჯორჯ ბალანჩინი  
ამერიკელი ბალეტმაისტერი, ჰამბურგი, 1969 წ.

●

„ქართული ცეკვისთანა აზრიანი და სანახაობრივი ქმნილება არსად არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე“.

სანდრო ახმეტელი.

●

„ქართული ცეკვის ცეცხლოვანი ტემპერამენტი და მისი ღრმაშინაარსიანი ფილოსოფიური პლასტიკა, ერთნაირად გასაგებია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლისათვის.“

ქართული ცეკვა მშვიდობის დესპანია“.

ჰერლუფ ბიდსტრუპი

დანიელი მხატვარი.

●

„...თუ, როგორც ეთნოგრაფები ამტკიცებენ, ცეკვა ხალხის ან რასის ზნე-ჩულების ანარეკლია, საქართველოს ოსტატმა წარმოგზავნილებმა საკმაოდ მკაცრი გაკვეთილი მისცეს პარიზის ქორეოგრაფებს... ქართული ფოლკლორი არაჩვეულებრივი კეთილშობილებითა და ორიგინალობით გამოირჩევა...“

ესაა ქართული ცეკვები, სრულყოფილი, დიახ სრულყოფილი, რომლებიც ყოველმხრივ გამოგვადგება გაკვეთილად!

„...ქართველ მოცეკვავეთა პირველმა გამოსვლამ „შეარყია მაყურებელი“ თავისი ვირტუოზულობით“.

საფრანგეთი

●

„...ქართული ცეკვა მარტო „ფეხებით ჯადოქრობა“ როდია. ამ ცეკვებში ერთმანეთთან შერწყმულია ინტელექტი და გრძობა... ქართული ცეკვა ამაღლებულია, რელიეფური, აყვანილია სრულყოფილ ქორეოგრაფიულ ფორმამდე, მხატვრულად ძლიერად და დახვეწილად გადმოგვცემს ქართველი ხალხის მდიდარ ტრადიციებს...“

შმაგი მხიარულება, ამაყი მოძრაობა, საოცარი ტექნიკა — ვინ მოთვლის ყოველივეს, რაც ქართველებს ახასიათებთ...

გაჭედული თეატრის მაყურებლები აღვსილნი არიან ენთუზიზმით... ეს იყო ნამდვილი გონების შემარყეველი საღამო!“

„... ქართველი მსახიობები უაღრესი რეალიზმით გვიჩვენებენ ძველი, მდიდარი ისტორიის მქონე თავიანთი ქვეყნის ცეკვების სულს. მათ ნამდვილი შემოქმედების მწვერვალებამზე აჰყვანს ტექნიკური ოსტატობა. ხშირად ადამიანის ენა უძლურია სიტყვებით გამოთქვას ის დიდი ქება, რომლის ღირსიც არის ბრწყინვალე ანსამბლი...“

„...ქალიშვილების სინატიფე და გრაციოზულობა, სიმსუბუქე, მამაკაცების ვაჟკაცური გამბედაობა, მოძრაობის უნაკლოება, ერთსულოვნება — აი, რა ახასიათებს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლს... „ლა-სკალას“ სცენაზე ქართველმა მოცეკვავეებმა მოიტანეს ქართული ფოლკლორის სუნთვა.. მათი ცეკვა სადავეს ქართული ფოლკლორის ფესვებიდან იღებს“.

იტალია

●

„სიტყვები ვერ აღწერს იმ ფანტასტიურ გაკვირვებას, რომელიც გამოიწვია სენსაციურმა საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „როიალ ალბერტ ჰოლში“ დებიუტის დროს. ეს საღამო, აღნიშნული დიდი ოვაციით, დიდხანს დარჩება მათ ხსოვნაში, ვინც ამ ისტორიულ წარმოდგენას ესწრებოდა. შვიდი ათასი კაცი, ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა ბრწყინვალე მოცეკვავეებს...“

„...ანსამბლი ამ გასაოცარი მოცეკვავეებისა, არის უდიდესი ცეკვის ანსამბლი, რომელიც ოდესმე ყოფილა ინგლისში...“

„...ქართული ცეკვები ისე მომხიბლავია, რომ ისინი უნდა დახოს ყველამ ვისაც ქორეოგრაფია აინტერესებს, მაგრამ ისიც, ვისაც იგი არ აინტერესებს, ქართულ ცეკვებს რომ ნახავს, უნებურად იგრძნობს, რომ მაჯისცემა უძლიერდება“.

„...არ უნდა გვიკვირდეს, რომ ანსამბლი სარგებლობს ლეგენდარული რეპუტაციით... უნდა ნახო შემადგენელი ენერჯია ქართველი მოცეკვავეებისა, რათა დაიჯერო, რომ შესაძლებელია ასეთი რამ...“

„ესაა ანსამბლი, რომელშიც ყველა ადამიანი, თუ მათ ჩვენებური დასავლური თვალსაზრისით მივუდგებით, ცეკვის გენიაა, არა მხოლოდ უბრალოდ ვირტუოზი, არამედ ნაყოფიერი, შემოქმედი მსახიობი!“

„ამაყმა და გულზვიადმა მამაკაცებმა მოგვცეს ცოცხალი დადასტურება ცეკვის უდიდესი ლეგენდის შესახებ“.

ინგლისი

●

„...შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოში ცეკვის ხელოვნებას დედის რძესთან ერთად ითვისებენ. მოცეკვავეებმა ისეთი ტექნიკური სრულყოფა გვიჩვენეს, რომ კოპენჰაგენის სამეფო თეატრის სოლისტები იჩრდილებიან მათთან შედარებით...“

დანია

●

„ფანტასტიკურია, დაუჯერებელია!“

...ქართული ცეკვის ანსამბლმა მაყურებელთა ყურადღება პირველი ნუთებიდანვე მიიპყრო. დარბაზი აღტაცებისაგან ჰქუხდა, ეს კი ნორვეგიაში ხშირად არ ხდება. მოცეკვავეებს ისეთი ტემპერამენტი და ტექნიკა აქვთ, რომ მაყურებელს სუნთქვა ეკვრება... ქართულმა ცეკვებმა ბოლომდე დაიპყრეს მატყურებელი. ყველამ, ვინც აფასებს ნამდვილ ხელოვნებას, უნდა ნახოს ეს აღმაფრთოვანებელი, ფანტასტიკური სპექტაკლი“.

ნორვეგია

●

„ქართველმა მოცეკვავეებმა მოგვხიბლეს სწრაფი რიტმული ტემპით, მგზნებარე ტემპერამენტით, ბრწყინვალე ქორეოგრაფიული ხელოვნებით.“

ანსამბლის კონცერტები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნიან საქართველოს თვითმყოფად საცეკვაო ფოლკლორზე. ეს არის დიდებული კოლექტივი, რომლის მოცეკვაეებისათვის ერთნაირადაა ხელმისაწვდომი როგორც ვირტუოზული, ისე ღრმა, ლირიული ცეკვები“.

ბულგარეთი

●

„...როცა ასეთ მომხიბვლელ სანახაობას უყურებ, ძნელია არ აღფრთოვანდე და მშვიდად იყო. ჩვენ გვგონია, რომ ეს ქორეოგრაფიის უდიდესი მონაპოვარია... როცა ამ საუცხოო სპექტაკლს ესწრებით, ფიქრობთ: რაოდენ დიდი შრომა და ენერგია უნდა დაეხარჯათ მის დამდგმელებს, რომ ასეთი დიდებული და მომხიბვლელი რამ შეექმნათ“.

საბერძნეთი

●

„ქართველებმა უაღრესად პლასტიკურ და ტექნიკურად ვირტუოზულ ფორმებში გადმოგვცეს ჰეროიკა და მეზრძოლი, გმირული ტრადიციები!

ქართველთა ცეკვა სუნთვის შემკვრელია!

ეს არის ფოლკლორული სკოლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!

ამ ანსამბლმა დატოვა უდიდესი პატივისცემის გრძნობა. ასეთი განცდა ჯერ არ გვქონია ხალხური ხელოვნებისადმი.

ჰარმონიულობის, ვაჟკაცობის, ენერგიის გრიგალი! აი, რა ნახა ბეირუთმა გუმინ სალამოს!“

ლიბანი

●

„... ეს არის არაჩვეულებრივი ანსამბლი, რომელიც მუსიკისა და ფერების ჰარმონიით, წარმოდგენილი დინამიურობით და თვალისმომჭრელი ვირტუოზობით გვიჩვენებს უმშვენიერეს ხალხურ ცეკვებს.“

თურქეთი

●

„ირლანდიელებს არ უნახავთ ამაზე ბრწყინვალე, ვირტუოზული ანსამბლი, ასეთი სანახაობა... ქართველებმა კვლავ გვიჩვენეს მჩქეფარე ენერგია და სუნთქვისშემკვრელი, დახვეწილი ცეკვები! სალამოს მაცურებლები ერთსულოვნად წარმოდგენენ სავარძლებიდან, რათა უპრეცედენტო ოვაცია მოეწყოთ ქართველებისათვის, რის შემდეგაც მათ განმეორებით იცეკვეს! ყველაფერი, რაც კი გვსმენია ქართველების სიმამაცის, გაბედულების, ვაჟკაცობისა და მომხიბვლელობის შესახებ, ამ პროგრამაში პოულობს დადასტურებას. ყველაფერი ეს თითქოს არაბეთის ზღაპრული ღამეებიდან მოვიდა ჩვენთან“.

ირლანდია

●

„...სტოკჰოლმის საზოგადოებას მსგავსი არაფერი უნახავს. ეს არის ფანტასტიური კონცერტი, ელეგანტური ქორეოგრაფია...“

შვეცია

•

„ამ ცეკვებს წინაპართა ტრადიციები შემოუნახავს. მათში თავისუფლების სული ბობოქრობს, ქართული ღვინის ცეცხლია დაგზნებული, როკვის პოეზია ზეიამტაც ქნარს ახმინებს...“

უნგრეთი

•

„...ქართველბმა ჩაგვითრის თავიანთი ფანტასტიკური და ამავე დროს გასაგები ცეკვების გრიგალში... ამ დასს არ შეუძლია არ დაატყვევოს მაყურებელი და ის, ვისაც აქვს თვალეზი, რომ ხედავდეს და ყურეზი, რომ ესმოდეს, თუ არ დაესწრება ამ წარმოდგენას, ბევრს დაჰკარგავს“.

ინდოეთი

•

„...საჭიროა ნახო ეს მოცეკვავეეზი და ქართველი ქალეზი, რომლეზიც ლერწამივით მოქნილნი და ლამაზეზი არიან. მათ განაცვიფრეს ციურისის მაყურებელი ქართული ცეკვეზით, რომლეზიც აღელვეზენ სულს. ამ ანსამბლმა დარჩრდილა ყველა ანსამბლი“.

შვეიცარია

•

„არასდროს არ ყოფილა აქ, ჩვენთან მანამდე საქართველოს ცეკვის ანსამბლის მსგავსი“.

„ქართველი მოცეკვავეეზი საქართველოდან პირდაპირ „მაჟესტისის“ თეატრის სცენაზე „გადმოხტნენ“ და დაამუნჯეს ხალხით გადაჭდილი დარბაზი განცივიფრეზისაგან“.

„ამ დიდ ქართველ მსახიოზებს ორი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი: რა შეასრულონ „ბის“-ზე და ამის შემდეგ, რითი დაამთვრონ წარმოდგენა აღფრთოვანებული მაყურებლის წინაშე, რომელიც უარს არ ამბობს ტაშის დაკვრაზე. ისინი ამ პრობლემას წყვეტენ გრიგალისებური ენთუზიაზმით, კიდეე უფრო მაღალი ნახტომეზით ცერეზსა და მუხლეზზე“.

ავსტრალია

•

„აღმაფრთოვანებელი, თავბრუდამხვევი, განსაცვიფრებელი — არც ერთი ეს სიტყვა არ იქნება გადაჭარბებული იმ აღტაცეზის გამოსახატავად, რომელიც გუშინ საღამოს გამოიწვია საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლმა ხალხით გადაჭდილ „სენტ ჯეიმსის“ თეატრში.“

...ამ ცეკვებს იმ ხალხის ორი ათასზე მეტი წლის ტრადიცია აქვს, რომელიც ცნობილია სიმამაცით, მუსიკის დიდი სიყვარულით და შესანიშნავი გარეგნობით.

...ქართველეზის ცეკვაში არ იგრძნობა რაიმე ნიშანი ზედმეტი მგრძნობიარობისა, რაც ასე ახასიათებს ცეკვების დასავლურ კულტურას. ქართველეზმა დაგვიმტკიცეს, რომ ცეკვის ხელოვნებამ შეიძლება აღფრთოვანება და კეთილშობილეზის გრძნობა აღძრას ჩვენში და ამავე დროს დიდი სისპეტაკითა და კდემამოსილეზით იყოს აღსავსე“.

ახალი ზელანდია

●

„ნამდვილად საოცარია ვაჟთა ათლეტური მომზადება და რიტმულობა, ქალთა ცეკვების სინარნარე, კდემამოსილება და გამომსახველობა“.

„მხოლოდ ბრმას შეუძლია თავი შეიკავოს და ტაში არ დაუკრას, როდესაც სცენაზეა ცეკვის იდეით შთაგონებული ანსამბლი, რომლის შესრულებასაც ახასიათებს მაღალი ტექნიკა, უზადო სიზუსტე და ბრწყინვალე ვირტუოზულობა“.

ურუგვაი

●

„გერმანიასი ქარიშხალმა ჩამოიქროლა... ვინც ამ ანსამბლის გამოსვლა ნახა, მსოფლიოს ყველა ფოლკლორულ ანსამბლს ზურგს შეაქცევს. ვინც ქართველ ხელოვანთა ცეკვა იხილა, მუდამ ეცოდინება რას ნიშნავს ხალხური ცეკვა...“

...ქართული ცეკვები — ეს ორსაათიანი უზენაესი ნეტარებაა, ეს არის შეკუმშული ძალა, დამატყვევებელი ტემპერამენტი და რკინის დისციპლინა. ეს არის ქალთა მშვენიერება და მოხდენილობა. მამაკაცთა სითამამე და სიმკვირცხლე“.

გერმანია

●

„...ქართველი მოცეკვავეები უბრწყინვალესნი არიან. ნუხელ ამაღლელები სადამო გამართა ერთ-ერთმა, დაუჯერებლად ფანტასტიურმა, ცეკვის ანსამბლმა და ალბათ მაყურებელთა ტაშისა და ვაშას შეძახილების ექო დღეს დილითაც გაისმოდა თეატრში...“

„არასოდეს არავის არ სმენია ამ დარბაზში ასეთი გუგუნი და გრიალი. არასოდეს, არასოდეს დე-მოინის აუდიტორიას არ უბრაგუნებია ფეხები. არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ წამომხტარა საზოგადოება ფეხზე თავისი სავარძლებიდან... გუშინდელ დღემდე! ...აუდიტორია შეირყა, როდესაც ქართველი გოგონები გამოცურდნენ სცენაზე“.

„...იგი ერთი ყველაზე უფრო ამაღლელები საცეკვაო წარმოდგენაა, რომელიც კი ოდესმე ყოფილა ჩიკაგოში. არაფერი ამის მსგავსი ჩვენ არ გვინახავს!“

ამ საოცარი მოცეკვავეების მიერ წარმოდგენილი პროგრამა გვიჩვენებს საქართველოს დიდ კულტურასა და ისტორიას...“

„...ჩვენ ვნახეთ მთელი მსოფლიოს ცეკვები, გვიმუშავია ყველა კონტინენტის მსახიობებთან, მაგრამ ასეთი ცეცხლი ჰოლივუდს ჯერ არ უნახავს!..“

ამერიკის შეერთებული შტატები

●

„ქართული ცეკვის ანსამბლი, რომელიც ამჟამად ჩვენთან იმყოფება, ნამდვილი საოცრებაა! მას ვერ შეედრება ვერც ერთი კოლექტივი, რომელიც კი აქ, ჩვენთან გვინახავს და რომლებიც თავიანთი ქორეოგრაფიული სპექტაკლებით გვიჩვენებენ თავის ხალხთა ხელოვნების მოზაიკას.“

ქართული ანსამბლი სრულიად სხვაა. მათ ცეკვებში ჩვენ ვკითხულობთ ქართველი ერის დიდებულ ისტორიას. ანსამბლი გადმოგვცემს პირველქმნილ ხალხურ ცეკვებს, რომელთა ძლიერების წინაშე ყველა და ყოველივე უძლურია“.

„ეს უბრალო, გასართობი ცეკვები კი არ არის ქართველებისათვის, ეს არის ორგანული, უნივერსალური ხელოვნება!“

„ესაა ხალხურობისა და აკადემიურობის დიდება, შესანიშნავი გამარჯვება!“

„ესაა ღმერთების ცეკვა!“

ესპანეთი



ზურაბ ორაგველიძე



ნინო სუხიშვილი



ილიკო სუხიშვილი





ფიქრია ყიფიანი



ლანა ცხვარაძე





ნინო შარაშიძე





ტატა გომელაური და ეთერ გამსახურდია



THE  
**GEORGIAN**  
STATE DANCE COMPANY  
FROM THE REPUBLIC OF GEORGIA



# საბჭოევი

---

---

თენგიზ უთმელიძე	5	ქართული ცეკვა - მარადიული დღესასწაული
მაყვალა გონაშვილი	9	ერის უკვდავების გასაღები
გრიგოლ რობაქიძე	10	ქართული გენია როკით განფენილი
იოსებ გრიშაშვილი	11	ქართული ცეკვა
იოსებ ნონეშვილი	13	ქართული სული ვაჟკაცურ ცეკვებში ამღერებული
იოსებ ნონეშვილი	14	ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ
მერაბ თაბუკაშვილი	16	ხმა საკონცერტო დარბაზიდან
დავით თედორაძე	17	ილიკო სუხიშვილს
ნოდარ ჯალალონია	23	ქართული ცეკვა
ნოდარ ჯალალონია	24	განდაგანა
გიორგი ერისთავი	30	კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისადმი
ასმათ კაპანაძე	31	ნინო რამიშვილს
ფრიდონ ხალვაში	32	განდაგანა
მორის ფოცხიშვილი	35	მხეიძეთა მხედრული
მზია ხეთაგური	35	ქართულ ცეკვას
რუსუდან ტოზაშვილი	36	ცეკვა „ქართული“
ალექსანდრე მეფიროვი	38	ქართული ცეკვა ხმლებით
მიხეილ სანიკიძე	41	სამაია
მურმან ლეზანიძე	42	ხორუმი
თემურ თხილაიშვილი	44	საქართველო ცერზე დგება
ნოდარ სურმანიძე	45	ქართულ ცეკვას
თენგიზ უთმელიძე	48	ქართული ცეკვის კაშკაშა ვარსკვლავებს

ქართლოს კასრაძე	63	როცა ლატავრა მზებრ ბრწყინდება
ერეკლე საღლიანი	65	ომარ მხეიძეს
ერეკლე საღლიანი	66	ფრიდონ სულაბერიძეს
ამირან შალიკაშვილი	74	შენგან მოველი შევლას
ლადო კახაძე	74	ცეკვა „ქართული“
ქართლოს კასრაძე	75	სალაღობო
მზია სიღამონ-ერისთავი	81	იამზე დოლაბერიძეს
იონა ბადავიძე	82	ცეკვის ფერია
სორონბაი ჯუსოევი	83	ქართული ცეკვა
ნუგზარ წერეთელი	84	„კონცერტზე“
გივი სიხარულიძე	84	მის აღმატებულებას ქართულ ცეკვას
მიმოზა ცანავა	85	ლექსები ექსპრომტად
გიორგი კუდარავა	89	ექსპრომტი თ.უთმელიძეს
ამირან ხაბაზი	98	სამაია
თენგიზ უთმელიძე	100	ტრიუმფი
მამია ვარშანიძე	103	ხორუმი
ია სულაბერიძე	104	თენგიზ უთმელიძეს
ია სულაბერიძე	105	ომარ მხეიძეს
ნანა ცინცაძე	109	ცეკვა ქართული
ზაზა ქინქლაძე	110	ექსკურსია ძველ ციხესთან
ჯემალ ქათამაძე	111	ვისაც შენი განდაგანა
გიორგი სალუქვაძე	115	განდაგანა
თემურ ჩალაბაშვილი	117	ქართული ცეკვა

წიგნში გამოყენებულია თენგიზ უთმელიძის, გურამ თიკანაძის,  
ალექსანდრე სააკოვის, ლევან ჭყონიას გადაღებული ფოტოები და  
ფოტომასალა თენგიზ უთმელიძის პირადი არქივიდან.

ააიპ „ოქროს ფონდი“

2016